ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 22 ნოემბერი, 2021 №220 (8749) ფასი: 60 თეთრი

## „ლელო“ საპარლამენტო ბოიკოტს წყვეტს

გვ.4



# „სააკაშვილი საქართველოში იმისთვის ჩამოვიდა, რომ ციხეში ჩამჯდარიყო?!“



## სააკაშვილი: „მზად ვარ, წარვდგე სპეციალურად შექმნილი, ოღონდ სამართლიანი სასამართლოს წინაშე“

გვ.2

## „ამერიკელები ცდილობენ, სააკაშვილის თემა აისხლიტონ“

გვ.3



არაადეკვატური მარტო ნაცმოძრაობა არ არის. „ქართული ოცნებაც“ გამოირჩევა არაადეკვატურობით. უახლოესი წელიწადი-წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში სიტუაცია თვისობრივად შეიცვლება. სააკაშვილის მცდელობები უკავშირდება მის სურვილს, დაიკავოს ადგილი ამ სისტემაში.



გვ.3

## „ოცნებას“ მხოლოდ აქციების ენა ესმის“

რომან გოცირიძე: „საქართველო უკვე აღარ არის მოდური, „ოცნებამ“ ზურგი აქცია ევროპულ ღირებულებებს. გვყავს ანტივაქსერი ეკლესია“

## „ოცნებას“ საერთოდ არ შეუძლია უცხოეთთან მუშაობა“

პეტრე მამრაძე: „ამერიკელი თუ ევროპელი დიპლომატები და პოლიტოლოგები რომ ჩამოდიოდნენ, საუბარში მეუბნებოდნენ, ყველაფერი გვესმის, მაგრამ 2-3 პიჯაკის გამო საქმის აღძვრა და იმაზე საუბარი, რომ ეს არის დანაშაული, არ შეიძლება“



გვ.4

## „დღეს მთავარი თემაა, რა ჭამა სააკაშვილმა, ქვეყნის ინტერესები კი უკან არის გადაწეული“

ანა ბუჩუკური: „გავიარეთ ჯერ ენმ-ის 9-წლიანი ციკლი, მერე „ოცნების“ და კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ წრეზე?!“



გვ.2

## „ბრძოლა ვადამდელ არჩევნებამდე გრძელდება“



გვ.4

მურმან დუმბაძე: „უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ვერ შექმნა სამართლიანი სასამართლო“



გვ.5

## ტვ პირველს სასამართლომ პატრულ გელა კვაშილავასთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დაავალა

ISSN 1987-9385

**5** მეგის ქარდავამ საგამოძიებო უწყების კითხვებს პასუხი არ გასცა

**2** ივანიშვილი: „ღარიბაშვილი ავტორიტეტი არ იყო, მას არც იურიდიული განათლება ჰქონდა და არც ფინანსური“

**5** თბილისში სალომე მარტიაშვილი ქმარმა მოკლა და გაზით გაგუდვის ინსცენირება მოაწყო

**6** აშშ: რუსეთი უკრაინაზე თავდასხმას აპირებს

უკრაინის დაზვერვის შეფი კირილ ბუდანოვი აშშ-ში ჩავიდა

# „დღეს მთავარი თემაა, რა ჭამა სააკაშვილმა, ქვეყნის ინტერესები კი უკან არის გადაწეული“

## ანა ბუჩუკური: „გავიარეთ ჯერ ენმ-ის 9-წლიანი ციკლი, მერე „ოცნების“ და კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ წრეზე?!“

იაგო ნაცვლიშვილი

**დაიწყო თუ არა ქვეყანამ დესტაბილიზაციიდან გამოსვლა? რა არის მთავარი პრობლემა ორპოლუსიან პოლიტიკურ სისტემაში და რატომ არ შექმნა რამდენიმე საკრებულოში უმრავლესობა ოპოზიციასთან ერთად თუ „ოცნების“ დასუსტებაა მათი მიზანი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ანა ბუჩუკური საუბრობს.**



***— ოდნავ დამშვიდდა ვითარება სააკაშვილის კლინიკაში გადაყვანით, მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ ქვეყანა გამოვიდეს დესტაბილიზაციიდან?***

— ორი დომინანტი პარტია, რომელიც ქვეყანაშია, ამ ორივე პარტიას ახასიათებს რადიკალიზმი. ეს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. ჩვენი გუნდი როდესაც ვამბობთ, რომ ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან, ზუსტად მაგას ვამბობთ, რომ ერთისთვის რადიკალური რევანშისტული გზებით ძალაუფლების დაბრუნებაა მთავარი მიზანი და მეორესთვის — „ქართული ოცნებისთვის“ (რაც დარჩა მისგან) მთავარი მიზანია, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს ნებისმიერ ფასად. ყველაზე მძიმე ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის და პარლამენტარისთვის, არის ის, რომ ამ ორი დომინანტი პარტიის ბრძოლაში იკარგება ის, რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი – სახელმწიფო ინტერესი.

ბოლო დღეებია მუდმივად პოლიტიკური დღის წესრიგია სააკაშვილის დაკავების საკითხი, ამ ორ თვეში ბევრი მძიმე მოვლენა მოხდა, რაც უკავშირდებოდა მოქალაქეებს და ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ ის იქცა მეორეხარისხოვნად. ავიღოთ იგივე პანდემიის თემა, დღეში 70 ადამიანი გვიკვდება საშუალოდ და ამაზე არავინ არ ლაპარაკობს.

***— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მთავარი სამსჯელო თემა იყოს საქართველოს მოქალაქეების წინაშე არსებული გამოწვევები?***

— მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ხელისუფლებას. გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები ხელისუფლებას აქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ოპოზიციასაც გვაქვს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. მე, მაგალითად, როგორც პარლამენტის წევრი, სულ ვამბობ, რომ საქართველოს მოქალაქეებთან მრცხვენია, როდესაც ისინი უყურებენ ტელევიზორს და უყურებენ იმას, რაც ხდება პარლამენტში. პარლამენტი ყველაზე დიდი ტრიბუნაა. ჩვენ ვართ ხალხის წარმომადგენლები და ბოლო პერიოდის ყველაზე კარგი მაგალითი, რაც შემიძლია მოგიყვანოთ, არის ის, რომ 2 მინისტრი იყო მინისტრის საათის ფორმატში მოსული – თეა ახვლედიანი და დავით ზალკალიანი, მაგრამ დარბაზი ფაქტობრივად ცარიელი იყო, ოღონდ ეს მარტო ოპოზიციას არ ეხება.

ოპოზიციამ მიიღო თავისი გადაწყვეტილება და ბოიკოტის რეჟიმშია. ჩვენი გუნდისთვის არ არის გამართლებული ეს, მაგრამ მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. დავით ზალკალიანის მოსმენის დროს დავითვალე და კითხვის დასმის პროცესს უმრავლესობის მხრიდან დაახლოებით 18 დეპუტატი ესწრებოდა 84 დეპუტატიდან და პასუხის გაცემის დროს 25 თუ 26 დეპუტატი ესწრებოდა. ეს მაშინ, როდესაც ასეთი ვითარებაა და არ წყდება პარტნიორების კრიტიკა ჩვენი მისამართით და საგარეო საქმეთა მინისტრის და ვიცე-პრემიერის. ამ დროს როცა პარლამენტარს თავისი როლი და ფუნქცია გააზრებული არ აქვს, ეს არის ძალიან მძიმე.

ზოგადად ჩვენი პარტია სულ ვამბობთ, რომ ბოიკოტი გამოსავალი არ არის. კი, უკანონო არ არის და პარტია თავის სტრატეგიას თავად ირჩევს, მაგრამ ბოიკოტი არ არის მისაღები და მაგალითების დონეზე შემიძლია გითხრათ, რატომ არ მუშაობს ბოიკოტი საქართველოს შემთხვევაში.

***— თუმცა, როდესაც ასეთ რეალობას ქმნის ხელისუფლება, რაც ქვეყანაშია, ალბათ ოპოზიციაც გაიმართლებს თავს ბოიკოტით.***

— ბოიკოტი უკანონობა კი არ არის, მათ აქვთ უფლება, ასე იმუშაონ, მაგრამ შედეგი არ მოაქვს. ქვეყანა წლის დასაწყისში რომ დავაბრუნოთ, როდესაც ოპოზიცია არ შევიდა პარლამენტში და ბოიკოტის რეჟიმში იყო, მაშინ მე და ჩემი გუნდის წევრები ხელისუფლებაში ვიყავით და თავს უფლებას მივცემ, რომ უფრო დარწმუნებით ვისაუბრო. ეს დიდი კომფორტი იყო უმრავლესობისთვის, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ძალიან ზიანდებოდა და შეგახსენებთ, რომ ის ძალიან დაზიანებული იყო.

***— თუმცა, ენმ-ის მხრიდან პირიქით გაისმა, რომ შარლ მიშელის შეთანხმება და პარლამენტში შესვლა შეცდომა იყო.***

— კი, მაგრამ ოპოზიციის ნაწილი იმდენად არათანმიმდევრულია თავის ქმედებებში, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ეხმარება უმრავლესობას. როდესაც ალოგიკური მოქმედებების ჯაჭვია ოპოზიციაში, ეს აძლიერებს ხელისუფლებას.

***— ანუ, თავისდაუნებურად ნაციონალური მოძრაობა მუშაობს „ქართულ ოცნებაზე“?***

— ეს ფორმულირება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთმანეთს ასაზრდოებენ, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა რომ არ არსებობდეს, „ქართული ოცნების“ პერსპექტივა მცირდება. „ქართული ოცნება“ რომ არ არსებობდეს, ნაციონალური მოძრაობის პერსპექტივაც მცირდება. ამას დიდი ხანია ვამბობთ, რომ ეს არის ორი რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებიც ერთმანეთს კვებავენ და ასაზრდოებენ, რადგან ერთს მეორესგან მტრის ხატი აქვს შექმნილი და ამით ინარჩუნებს ელექტორატის გარკვეულ ნაწილს.

ეს ვნახეთ, როდესაც არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა სააკაშვილის დაკავება, ამას ჩვენ დავარქვით ამომრჩევლის წინააღმდეგ „სპეცოპერაცია“. იმიტომ, რომ ამით „შუა გაიკრიფა“. ამან იმოქმედე ორივე მხარისთვის, მაგრამ ე. წ. შუას გაკრეფის „სპეცოპერაცია“ იყო, რაც აისახა შედეგებშიც, მაგრამ როდესაც ეს ემოციები დაცხრება, ადამიანები აუცილებლად გადააფასებენ თითოეულ მათგანს, მათ შორის მათი ამომრჩეველიც, რადგან შედეგად ვიღებთ იმას, რომ ადამიანის და ქვეყნის ინტერესი გამქრალია პოლიტიკური დღის წესრიგიდან. ეს ჩემთვის, პირველ რიგში, როგორც მოქალაქისთვის, არის ძალიან მძიმე. იქ კოვიდ ვითარებაა მძიმე, რთული ვითარებაა აფხაზეთში – ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა პუტინთან პირდაპირ დაკავშირებული პირი, ხოლო ე. წ. პრეზიდენტი საჯაროდ აკეთებს განცხადებებს, რომ თურმე რუსეთის მოქალაქეებზე უნდა დაიწყოს უძრავი ქონების გასხვისება, რაც დღემდე აკრძალულია. ეს თემები, რაც სახელმწიფო მნიშვნელობის თემებია, უკანა რიგშია გადაწეული. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს და როდემდე შეიძლება ასე იყოს, რომ პოლიტიკური ისტებლიშმენტი იყოს – რამდენი ულუფა ჭამა სააკაშვილმა და ა. შ.

რა თქმა უნდა, სააკაშვილის, როგორც პატიმრის, უფლებები დაცული უნდა იყოს და ამას პირველივე დღიდანვე ვამბობთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ის პატიმარია და მეორე იმიტომ, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენების აღსრულებას ბევრი ადამიანი ელოდება. ეს ინტერესი დასაცავია, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ სახელმწიფოს სხვა გამოწვევები არ აქვს?!

***— კი ბატონო, მაგრამ მთავარი კითხვა სწორედ მანდ არის, როგორ უნდა შეიცვალოს ეს?***

— განსაკუთრებით ოპოზიციური სპექტრი უნდა გადავიდეს სამუშაო რეჟიმზე და ყველა სამართლებრივი ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ, რაც ამომრჩეველმა მოგვცა. პირველ რიგში, ტრიბუნები.

***— ოპოზიცია თქვენც გსაყვედურობთ ხოლმე, რომ რამდენიმე საკრებულოში შეიქმნა რეალობა და ოპოზიციას მთლიანობაში შეგვეძლოთ უმრავლესობის შექმნა, თუმცა თქვენ არ დაეხმარეთ ოპოზიციას უმრავლესობის შექმნაში. რატომ არ დაასუსტეთ ხელისუფლება თუნდაც რამდენიმე მუნიციპალურ დონეზე?***

— ნახეთ, როგორი რაღაცაა. ჩვენი დაარსების დღიდან ვემხრობით კოალიციას, მაგრამ ამაში იგულისხმება სისტემური კოალიცია. დომინანტი ორი პოლიტიკური ძალისთვის პირადი პოლიტიკური ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც ხალხს აწუხებს და ეს ხომ ჩანს?!

***— კი, მაგრამ მთავარ პოლიტიკურ მონსტრს რაღაც ფორმით ხომ დაასუსტებდით და უმრავლესობის შექმნა იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ თქვენი პირობები არ გქონოდათ მისი ფორმირებისას?***

— ჩვენ როდესაც ამომრჩეველმა მოგვცა ხმა, იმიტომ მოგვცა, რომ არც ერთი უნდა და არც მეორე. ვისაც მოსწონს ის, რაც ქვეყანაში ხდება, ის ხმას აძლევს „ოცნებას“, ხოლო ვისაც მოსწონს ნაციონალური მოძრაობა და მისი მოქმედება, ის მას აძლევს ხმას. ამომრჩეველმა, რომელმაც ჩვენ მოგვცა ხმა, ასეთი დაახლოებით 140 ათასი ადამიანია, რომელმაც ორივე ძალას უთხრა უარი და გადაწყვიტა, რომ მანდატი ჩვენთვის მოეცა, რადგან მისთვის ერთიც და მეორეც მიუღებელია. ამ დროს პარტია „საქართველო“ რომ „მიეკედლოს“ რომელიმეს, ეს ხომ, პირველ რიგში, ჩვენი ამომრჩევლის დავალების შეუსრულებლობა იქნებოდა?! ოდესღაც ცვლილებები ხომ უნდა დაიწყოს და მუდმივად 9-წლიან ციკლზე ხომ არ ვივლით?! გავიარეთ ჯერ ენმ-ის 9-წლიანი წიკლი, მერე „ოცნების“ და კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიაროთ წრეზე?! ამომრჩეველმა ეს დავალება მოგვცა, რომ ეს წრე რაღაცნაირად გავარღვიოთ. ჩემთვისაც მიუღებელია ეს ვითარება, 31 წლის ვარ და დავიღალე ამ წრეზე ტრიალით, არ არის ჩემთვის მისაღები მუდმივად წარსულში ტრიალი და ამიტომ გადავწყვიტე თავის დროზე პოლიტიკაში ჩართვა. შესაბამისად, კითხვაზე, რატომ არ ვუერთდებით მათ, პასუხი არის, რომ დღეს, როგორც ისინი იქცევიან, არ არის ორიენტირის აღება ქვეყანასა და მოქალაქეზე.

## ივანიშვილი: „ღარიბაშვილი ავტორიტეტი არ იყო, მას არც იურიდიული განათლება ჰქონდა და არც ფინანსური“

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ბოლო ერთი კვირაა ბერმუდის სასამართლოს ჩვენებებს აძლევს.

შაბათის ფორმულამ სასამართლოში ივანიშვილის 3 ჩვენება მოიპოვა. გაირკვა, ვის უფორმებდა ქონებას და ვინ არიან ის ადამიანები მისი პირადი გარემოცვიდან, ვის გამოც შესაძლოა დაკარგა სადავო 400 მილიონი.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილმა საქართველო დატოვა, თუმცა შაბათის ფორმულამ გაარკვია, რომ ის ბერმუდის სასამართლოს ჩვენებას ყოველდღე, ჭორვილის რეზიდენციიდან აძლევდა.

— ღარიბაშვილი არ იყო ჩემთვის ავტორიტეტი. ღარიბაშვილი არ იყო ფინანსისტი. თუ კრედიტ სვისი მიმანიშნებდა, რომ ხელი უნდა მომეწერა და ეს ჩემთვის კეთდებოდა, იმას როგორ გადაამოწმებდა ღარიბაშვილი. აი, წერილები, რომლებიც იგზავნებოდა, იგივე, ვთქვათ, ჩამოდიოდა დელეგაცია, დელეგაციას უნდოდა დროის შეთანხმება, მინდოდა რაღაც ფულის გადარიცხვა, ვთქვათ, ზარების განხორციელება, შეხვედრის ორგანიზება და ასეთი, მსგავსი. თვეში ერთხელ გაეგო, ანგარიშზე რა თანხებია, რა დარჩა და ასე შემდეგ, ღარიბაშვილს არ ჰქონდა არც იურიდიული განათლება ამის და, მით უმეტეს, არც ფინანსური, — თქვა ივანიშვილმა ჩვენების მიცემის დროს.

— ანუ რაღაც მდივანივით გყავდათ? — ჰკითხეს ივანიშვილს სასამართლოზე.



— რაც გინდათ, ის დაარქვით, თქვენ რომელი სახელითაც გინდათ, იმით მოიხსენიეთ, — უპასუხა მილიარდერმა.

ღარიბაშვილი მაშინ, როდესაც ივანიშვილს შვეიცარულ ბანკთან ქონების გაფორმებაში ეხმარებოდა, „ქართუ ბანკში“ მუშაობდა. ის ესწრებოდა იმ ხელშეკრულებების ხელმოწერას, რომლებითაც ოლიგარქმა 400 მილიონი დაკარგა.

სასამართლო პროცესის ვიდეო ჩანაწერიდან ოლიგარქის გეგმების შესახებ ბევრი აქამდე უცნობი ფაქტი გაირკვა.

შაბათის ფორმულას ინფორმაციით, ივანიშვილი ქონებას შვილებზე ანაწილებს, მაგრამ არა – ყველაზე. მილიარდერი არაფერს აძლევს უფროს შვილ უტა ივანიშვილს, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახმა მოიძულა და ცალკე, საფრანგეთში ცხოვრობს.

სასამართლო დავას ასე ჰქვია — „ბიძინა ივანიშვილი, ეკა ხვედელიძე, ცოტნე ივანიშვილი, გვანცა ივანიშვილი, ბერა ივანიშვილი — შვეიცარული ბანკის წინააღმდეგ“.

## სააკაშვილი: „მზად ვარ, წარვდგე სპეციალურად შექმნილი, ოღონდ სამართლიანი სასამართლოს წინაშე“

„მზად ვარ წარვდგე თუნდაც სპეციალურად შექმნილი, ოღონდ სამართლიანი სასამართლოს წინაშე.“

ამის შესახებ ნათქვამია ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წერილში.

როგორც სააკაშვილი აღნიშნავს, ის დაემორჩილება ამგვარი სასამართლოს ნებისმიერ განაჩენს.



„მე, მიხეილ სააკაშვილი, მზად ვარ წარვდგე თუნდაც სპეციალურად შექმნილი, ოღონდ სამართლიანი სასამართლოს წინაშე და ჩვენი ისტორიული სიმართლე, მათ შორის, იმ ადამიანების წინაშე, ვინც თავი დაჩაგრულად ჩათვალა ან ვისაც რეალური ზიანი მიადგა ჩემი პრეზიდენტობის დროს, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა ჩატარდეს ეროვნული ღირსების და სამართლებრივი ნორმის განუხრელი დაცვით და მე დავემორჩილები ამგვარი სასამართლოს ნებისმიერ განაჩენს. მაგრამ ვიმეორებ, დღევანდელი ჩემი პატიმრობა არის უკანონო და ჩვენ ის ერთად უნდა დავასრულოთ ქვეყნის განთავისუფლებით.

როდესაც გათავისუფლდება ქვეყანა, მერე ვიქნები გარეთ და თქვენთან ერთად ჩავერთვები ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენების საქმეში, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, ჩავერთვები ჩვენი ქვეყნის ევროპულ გზაზე დაბრუნების საქმეში და ქვეყანაში პატიოსანი არჩევნების ჩატარების საქმეში, სილატაკის და გაჭირვების დაძლევაში, უპერსპექტივობის და უიმედობის დასრულებაში.

ახლა მოშვების დრო არ არის, ახლა კონსოლიდაციის დროა. არ შევუშინდეთ არც ზამთარს, არც რეჟიმის მუქარას, არ ჩავთვალოთ, რომ რაიმე მნიშვნელოვანს მივაღწიეთ. მთავარი ჩვენი სამშობლოს გათავისუფლებაა, ბოლოს და ბოლოს, რას ვითხოვთ ისეთ, რასაც არ ვიმსახურებთ, ვითხოვთ ვცხოვრობდეთ თავისუფალ, არაძალადობრივ ქვეყანაში, გვქონდეს ისეთი შემოსავალი, რომ არ გვეჭიროს თავი გაქცევაზე, შევძლოთ უზრუნველად გავზარდოთ ჩვენი შვილები და მივხედოთ ჩვენს მშობლებს, გვქონდეს მომავალი, როგორც პირადად, ასევე მთელ ქვეყანას.

როგორც არასდროს, ისე მჯერა გამარჯვების და, როგორც არასდროს, მჯერა, რომ ახლა სწორედ გამარჯვების დროა. არცერთი გარიყული ადამიანი, არცერთი დაკარგული წამი, არცერთი ნაბიჯი უკან“ — ნათქვამია სააკაშვილის წერილში.

## საფრანგეთის საგარეო მინისტრი პარიზში სააკაშვილის მხარდამჭერებს შეხვდა

ასოციაციის „საფრანგეთიდან დანახული საქართველო“ ინიციატივით, საფრანგეთის საგარეო სამინისტროსთან მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

აქციას პარიზში მცხოვრები ქართველები და ჩვენი დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველების პროტესტი და აქციის ორგანიზატორები შენობაში შეიპატიჟა.

— შეხვედრა იყო ძალიან კონსტრუქციული, დეტალურად ავხსენით, როგორ განხორციელდა მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება, ყურადღება გავამახვილეთ პენიტენციური სისტემის გავრცელებულ კადრებზე. მნიშვნელოვანი იყო აგვეხსნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, თუ როგორ მიმდინარეობს ბოლო წლებში არჩევნები საქართველოში.

ვთხოვეთ საფრანგეთის მთავრობას დახმარება საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების საქმეში, — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ მხოლოდ აქციების ენა ესმის“

## რომან გოცირიძე: „საქართველო უკვე აღარ არის მოდური, „ოცნებამ“ ზურგი აქცია ევროპულ ღირებულებებს. გვყავს ანტივაქსერი ეკლესია“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, მიხეილ სააკაშვილი გასული კვირის ბოლოს გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს და იქ განაგრძობს მკურნალობას. თუმცა ნაციონალური მოძრაობა ისევ აქციებს აანონსებს. არ შევწყვეტთ აქციებს, ახლა სხვა მოთხოვნები გვაქვსო. ეს მოთხოვნა ხომ დაკმაყოფილდა და ახლა რას ითხოვთ?***

– ის, რაც ხელისუფლებამ ჩაიდინა, ეს არის დიდი ბოროტება, ფაქტობრივად ადამიანის გაწირვა. რომ არა მასობრივი აქციები, საერთაშორისო ზეწოლა და მათი უსწრაფესი რეაგირება, შესაძლებელია ყველაფერი ფატალურად დამთავრებულიყო. საკითხს უკვე დღეები წყვეტდა. როდესაც ასეთ რისკამდე მიგყავს ქვეყანა, რა უნდა უთხრა ასეთ ხელისუფლებას? ესენი არიან საკუთარი ქვეყნის მტრები. სააკაშვილის კლინიკაში გადაყვანა, ეს არის იმ სამი მოთხოვნიდან ერთ-ერთის მიღწევა, რითაც ეს საპროტესტო აქციები დაიწყო. მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლაც და შიმშილობაც, ამ მთავარი მოთხოვნის ნაწილია.

***– რა არის დანარჩენი ორი მოთხოვნა?***

– ჩვენ ეს ნათლად ჩამოვაყალიბეთ. პირველი ის, რომ გადამდგარიყო ნაბიჯი მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მეორე იყო შეწყვეტა პოლიტიკური დევნის მიხეილ სააკაშვილის და მესამე, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა სრულიად პროპორციული სისტემით, დაბალი ბარიერით, რაც უკვე პარლამენტმა მიიღო მხოლოდ პირველი მოსმენით.

***– ამ ეტაპზე შეჩერებულია, საფრთხე ხომ არ ემუქრება ამ საკითხის ჩავარდნას?***

– დიახ, მხოლოდ პირველი მოსმენითაა მიღებული და ის, რომ ეს საკითხი ბოლომდე იქნას მიყვანილი, როგორც ჩანს, კვლავ მოგვიწევს როგორც საშინაო, ისე საგარეო ზეწოლის განხორციელება. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელისუფლებას რაიმე დაეთმოს დიდი საპროტესტო აქციების გარეშე.

***– ანუ პროტესტი გაგრძელდება?***

– კი, რა თქმა უნდა, ოღონდ როდის და რა ფორმით, ეს ცოტა მოგვიანებით გახდება ცნობილი. ამ 9 წლის განმავლობაში, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია, ერთ პატარა მაგალითს ვერ მოვიყვანთ, რომ ხელისუფლებამ შეასრულა საზოგადოების მოთხოვნა, ოპოზიციის მოთხოვნა, ის მოთხოვნები, რომელიც სამართლიანიც იყო და აუცილებელიც. ეს არ მომხდარა დიალოგისა და ცივილიზებული პოლიტიკური პროცესების საფუძველზე. მხოლოდ მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ იხევს უკან ხელისუფლება. სწორედ ამის ნათელი მაგალითი იყო ნაწილობრივ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. ამის მიღწევასაც კი დასჭირდა ერთწლიანი ბრძოლა, საერთაშორისო წნეხი, შარლ მიშელის ჩამოსვლა და მრავალთვიანი პროცესები. მოკლედ, თუკი რაიმე დათმობაზე წასულა ეს ხელისუფლება, ყოველთვის დიდი პროტესტის შედეგად. დღეს მიხეილ სააკაშვილი კლინიკაშიც კი არ იქნებოდა გადაყვანილი, რომ არა მასობრივი პროტესტი.

***– მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს ნაციონალური მოძრაობა და მას ხომ მისჯილი აქვს სასჯელი და გასამართლებულია. როგორ უნდა მოხდეს მისი გათავისუფლება?***

– მოკლედ ასეა, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, სანამ ჯოხს არ ესვრი, იმ კაკალს არ გააგდებს. რამე რომ დაათმობინო ამ ხელისუფლებას, პროტესტებით უნდა შეაშინო. სხვა ენა ამ ხელისუფლებას არ ესმის. ამიტომ, რა ენაც ესმით, იმ ენით საუბარს გავაგრძელებთ. ეს არის ქუჩის მასობრივი აქციები და თქვენ ნახეთ, რომ მეტი იმპროვიზაციით გამოირჩეოდა ეს აქციები, ვიდრე წინა აქციები. ამიტომ პროტესტი და აქციები კვლავაც გაგრძელდება.

***– ბატონო რომან, რამდენად არის დღეს ნაცმოძრაობაში ერთსულოვნება და მზაობა იმაზე, რასაც საუბრობთ? ბოლო პერიოდია აქტიურად გამოდის ხმები, რომ ვერ თანხმდებით, ყველა ლიდერს სხვადასხვა მოსაზრება აქვსო. ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ ძალიან მალე, ნიკა მელია პარტიის თავმჯდომარე აღარ იქნება. ამაზე რას იტყვით?***

– ეს სუს-ის და „ქართული ოცნების“ შემოგდებული თემაა. მუდმივად ხდება მსგავსი ჭორების გავრცელება და ასე არა ერთი პარტია დაუშლიათ საქართველოში ამნაირი მეთოდებით. თუმცა დღეს სულ სხვა ვითარებაა.

***– ანუ არ გემუქრებათ დაშლა?***

– დღეს არათუ შიდა უთანხმოება, ან სხვა რაიმე მსგავსი პარტიაში, არამედ ამ მთავარი საკითხების ირგვლივ, პოლიტიკურად ისე დაპირისპირებული ოპოზიცია გაერთიანდა, რომელსაც თავიანთი დღის წესრიგი აქვს და სულაც არ უნდა ამ პარტიებს სხვა პარტიის გაძლიერება, არც ის უნდათ, რომ მათი ხმები სხვა ოპოზიციურმა პარტიამ წაიღოს. მიუხედავად ამისა, დღეს ოპოზიცია ერთიანია. ოპოზიცია ჩამოყალიბებულია ერთ საკითხზე, რომ ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. რაც დიდხანს დარჩება ეს „ოცნება“ ხელისუფლების სათავეში, მით მეტად გაღატაკდება ქვეყანა. მით უფრო მეტად გვაქცევს ზურგს დასავლეთი. სხვათა შორის, ერთი ძალიან საყურადღებო სიგნალია. უცხოელები, რომლებმაც უამრავი ქონება იყიდეს ქვეყანაში, უკვე ბინებს ყიდიან მასობრივად და გადიან ქვეყნიდან. ბათუმის, თბილისის ცათამბჯენებს, სწორედ უცხოელები ყიდულობდნენ. საქართველო უკვე აღარ არის მოდური. საქართველო უცხოელებისათვის იყო მოდური ქვეყანა. იყო რეფორმატორული, ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფი და რაღაც სიახლის შემომთავაზებელი. ულამაზესი ბუნებით, მშვენიერი ტურისტული სივრცეებით.

***– აღარ არის მოდური და მომხიბვლელი?***

– სამწუხაროდ, არა. სავსე იყო კარგი ადამიანებით, რომლებიც გულღია, გახსნილი და მუდამ მომღიმარი იყო. უცბად დაკარგა ამ ქვეყანამ შარმი, დაკარგა სილაღე, არავინ იღიმის, მუდმივი პოლიტიკური კრიზისია. გვყავს ხელისუფლება, რომელმაც ზურგი აქცია ევროპას და ევროპულ ღირებულებებს. გვყავს ანტივაქსერი ეკლესია, ერთადერთი ეკლესია მსოფლიოში, რომელმაც ღიად არ მოუწოდა აცრებისკენ. ერთადერთია, სხვა ასეთი ქრისტიანულ სამყაროში არ არსებობს. რუსეთის ეკლესიაც კი აქტიურია და აცრის მომხრეა. ეს ქვეყანა უკვე დაემსგავსა ტიპიურ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს. გავიდა ქვეყნიდან უცხოური კაპიტალი. აქამდე თუ რამე გაკეთდა ესეც ინერციით კეთდებოდა. მოკლედ, რომ შევაფასოთ, ეს ნიშნავს შემდეგს: საქართველო განწირულია მრავალწლიანი სიღატაკისათვის, სანამ ეს ხელისუფლება იქნება. ყოველი ერთი წელი, ამათი ხელისუფლებაში ყოფნისა, მომავალში ბევრი წლის პრობლემის შემქმნელია. დღეს ჩვენი მიზანია „ქართული ოცნება“ გავუშვათ ოპოზიციაში. ჩვენ მათსავით კი არ ვამბობთ, რომ გავანადგუროთ „ქართული ოცნება“. არა, განადგურებული ოპოზიციის ფონზე მოსული ხელისუფლება, გახდება უზურპატორი. ეს ჩვენ არ გვინდა. სამწუხაროდ, დღეს ვინც „ოცნებაშია“, ყველა ივანიშვილის პაიკია და თუ ივანიშვილის ნება არ იქნება, ოპოზიციაშიც ვერ გადავლენ. მათ ამის რესურსი არა აქვთ. ანუ „ქართული ოცნება“ სამომავლოდაც პრობლემაა, რადგან მას ოპოზიციაში ყოფნის რესურსები და უნარები არა აქვს. ხელისუფლებაში არიან და ქვეყანა რას დაამსგავსეს, ხელისუფლებიდან წავლენ და ბალანსის შესრულების უნარიც არ აღმოაჩნდებათ.

# „სააკაშვილი საქართველოში იმისთვის ჩამოვიდა, რომ ციხეში ჩამჯდარიყო?!“

## მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელები ცდილობენ, სააკაშვილის თემა აისხლიტონ“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა ხდება და რა არის მოსალოდნელი მას შემდეგ, რაც მესამე პრეზიდენტი გორის ჰოსპიტალშია მოთავსებული, შიმშილობის აქცია კი ყველამ შეწყვიტა? „ახალი თაობა“ ამ თემაზე ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.**

***– მყარდება თუ არა დროებითი სტაბილურობა ამ პირობებში?***

– თუ დროებით სტაბილურობას ვუწოდებთ იმას, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში სიტუაცია ცხელ ფაზაში არ იქნება, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ დროებითი სტაბილურობა დადგა. ეს იქნება სააკაშვილის რეაბილიტაციის პერიოდი. შემდეგ, როცა მას ციხეში დააბრუნებენ, დაიწყება მისი გათავისუფლების მცდელობა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია ამას ადასტურებს.

***– სააკაშვილის მომხრეები ამბობენ კიდეც, რომ შემდგომი გეგმის ერთ-ერთი ნაბიჯი მიშას გათავისუფლებაა.***

– ამ ხალხს სხვა რა დარჩენია?! მკურნალობის კურსის შემდეგ ციხეში რომ მოაბრუნონ, გამოვა, რომ 5-დღიანი პრელუდია წყალში გადაიყრება. ეს მძიმედ მოსანელებელი აღმოჩნდება ნაციონალური მოძრაობისათვის. ვეჭვობ, რომ ეს ყველაფერი ხავერდოვნად წარიმართოს.

***– ესე იგი, სიტუაციის გამწვავებას უნდა ველოდეთ?***

– დაახლოებით დეკემბრის დასაწყისში. ამ დროს იმაზე არანაკლებ დრამატული მოვლენები განვითარდება, რაც აქამდე იყო. აქ გამოსაყოფია აშშ-ის პოზიცია. ის ესკალაციის მოწინააღმდეგეა. აშშ-ის პოლიტელიტა, რომლისთვისაც საქართველოში მიმდინარე სცენარები რუსეთის მიერ არის ორკესტრირებული, დაპირისპირებას არ დაუშვებს. ამერიკელებიც თვლიან, რომ დესტაბილიზაციის შემდგომი ტალღაც სახიფათოა და საქართველოს მოუტანს სახელმწიფოებრივ ზიანს. სააკაშვილის პოლიტიკური მრევლი მზადყოფნაშია. არის თუ არა ხელისუფლება მზად ხისტი გადაწყვეტილებებისათვის, არ ვიცი.

***– კერძოდ?***

– ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს სააკაშვილის ბადრაგირება ციხეში მაშინ, როცა დამთავრდება რეაბილიტაციის კურსი გორის ჰოსპიტალში. სააკაშვილის მომხრეებს მისი პოლიტიკაში დაბრუნება სურთ. ჩემი აზრით, მოვლენები უნდა გადავიდეს სამართლებრივ ჭრილში. უნდა ამუშავდეს სააკაშვილის ქეისი არა მარტო იმ საქმეებზე, რისთვის მიესაჯა მას პატიმრობა. არსებობენ სხვა მომჩივნები. მათაც უნდა მიეცეთ სააკაშვილისათვის სამართლებრივი პრეტენზიების წამოყენების უფლება. თავის დროზე, პროკურატურაში შესული იყო 30 000-მდე საქმე. ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების მონაწილეობით ჩადენილი დანაშაულები და სერიოზული გადაცდომები. სამწუხაროდ, აქედან ბევრი საქმე გამქრალია.

***– გამოდის, რომ დასავლეთი დესტაბილიზაციას არ დაუშვებს?***

– ჩვენი საზოგადოება და აშშ-ის პოლიტელიტა სხვადასხვანაირად აღიქვამენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. აშშ-ის პოლიტელიტისთვის ეს არის ცრუ დაპირისპირება, სპექტაკლები. ეს მიდგომა აისახება ყველაფერზე. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველს უნდოდა წარმდგარიყო სტრასბურის სასამართლოში მესამე მხარედ. მას ეს თხოვნა არ დაუკმაყოფილეს. ყოფილი პრეზიდენტი 50 დღე შიმშილობდა ციხეში და ამაზე დასავლეთში არ ყოფილა სერიოზული გამოხმაურება. იყო მხოლოდ ჰუმანური ხასიათის მოწოდებები.

***– ნაცმოძრაობის წევრები პირიქით, ალაპარაკდნენ სერიოზულ საერთაშორისო მხარდაჭერაზე. მათი მტკიცებით, სააკაშვილი დასავლეთის ზეწოლით (და საზოგადოების მოთხოვნით) გადაიყვანეს ჰოსპიტალში. ანტიდასავლური ჯგუფები კი ისევ არწმუნებენ ხალხს, თითქოს სააკაშვილის დესანტირება ამერიკელებმა მოახდინეს.***

– სააკაშვილს რომ ამერიკელების მხარდაჭერა ჰქონოდა, მას ციხეში ვერ გაამწესებდნენ. არც შიმშილობა დასჭირდებოდა. მისი შიმშილობა ცალკე თემაა და არ შევეხები. ვაშინგტონის თანადგომის შემთხვევაში საშიმშილოდ არ გაუხდებოდა საქმე. ვინც ფიქრობს, რომ ამერიკიდან მხარდაჭერილ სააკაშვილს დაპატიმრება გაუბედეს, ცუდად იცნობს მსოფლიოში დამყარებულ ძალთა ბალანსს. ამერიკელები ცდილობენ, სააკაშვილის თემა აისხლიტონ. ვინც დეტალებში გარკვეული არაა, იმათთვის ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობის და სააკაშვილის პრობლემები სწორედ იქიდან მოდის, რომ ამერიკის მხარდაჭერა არა აქვთ. ამ პარტიას საქართველოში პროდასავლური ნიშა უკავია. სინამდვილეში, ეს არის ფსევდოდასავლური ძალა. ამაზე თქვენთან ინტერვიუებში მისაუბრია. აშშ არ აღიარებს ნაცმოძრაობის პროდასავლურობას. ამდენს იმიტომ უბედავენ სააკაშვილს, რომ მას არ უმაგრებს ზურგს აშშ. თავისი ქმედება მას ამდენ წვალებად და სამედიცინო ჩარევად დაუჯდა. სააკაშვილისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლება. არა მგონია, ამ პირობებში სააკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს. არც ის მგონია, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნონ. ხელისუფლებამ ცუდად ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მთლიანად სააკაშვილის თემით გადაფარა.



***– ხელისუფლებასაც აწყობს ეს სიტუაცია?***

– როგორც გითხარით, არჩევნების საკითხი გადაფარეს. როგორც ჩანს, ხელისუფლება მომავალშიც აპირებს აიფაროს სააკაშვილი. თუ სააკაშვილი როგორღაც ჩააბეს პოლიტიკაში, ეს იქნება ივანიშვილის მიერ ორგანიზებული პროცესი.

***– დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე?***

– ამერიკის პოზიციაში პერსპექტივაში ვერანაირ დინამიკას ვერ ვხედავ. რეგიონის პოლიტტექნოლოგებთან მაქვს კონტაქტები. მათთვის გაუგებარია რისთვის დაიხარჯა ბოლოდროინდელი ენერგია. პოლიტტექნოლოგები ვერ მიხვდნენ, რისთვის ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში. იმისთვის, რომ ციხეში ჩამჯდარიყო?! მოვლენები, რომელიც განვითარდა, ქაოსურია და ლოგიკიდან შორს დგას.

***– მართვადი ქაოსიც ხომ არსებობს?***

– ეს მართვადი ქაოსის ცნებაშიც არ ჯდება. არალოგიკურია, ჩახვიდე ქვეყანაში იმისთვის, რომ იქ ციხეში ჩაჯდე და შემდეგ გამოაცხადო შიმშილობა.

***– იქნებ ორგანიზატორებს იმედი ჰქონდათ, რომ სენტიმენტებით ამერიკელებზე იმოქმედებდნენ?***

– გამორიცხულია. როგორ უნდა ემოქმედათ – შიმშილობს, კვდება და ამიტომ პოლიტიკაში დავაბრუნოთო?! სააკაშვილი ჩამოვიდა იმ გათვლით, რომ მას პრეტენზია ჰქონდა პოლიტიკური პროცესების წინამძღოლობაზე. ვისაც ჰგონია, რომ ვაშინგტონის ზურგს უკან წარმატებას მიაღწევს, ღრმად ცდება და არ ესმის ანგლოსაქსური დომინაციის მაღალი დონე. სააკაშვილმა თავისი გამოჩენით საქართველოში დაამტკიცა, რომ არის რეგიონში დამყარებული პოლიტიკური წესრიგის მოწინააღმდეგე, ანუ აჯანყებული სუბიექტი. სააკაშვილი ურთულეს ამოცანას შეეჭიდა. გათვლა, რომ ციხეში ჩაჯდება, შემდეგ კი 100.000-იანი მიტინგით მიზანს მიაღწევს, არის პრიმიტივიზმი. არ მეგონა, თუ პოლიტიკოსს, რომელიც 10 წელი პრეზიდენტი იყო, ასეთი უგუნური გეგმები ექნებოდა. ჩვენ ვნახეთ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სააკაშვილი. ერთი, როცა დააკავეს. მეორე, როცა რუსთავიდან გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაჰყავდათ. პირველ შემთხვევაში სააკაშვილი მშვიდი და თავდაჯერებულია, მეორე შემთხვევაში გააფთრებული. ჩანს, რომ ამ პერიოდში იმედი გაუცრუვდა.

***– რამ და ვინ გაუცრუა იმედი?***

– სააკაშვილი თავისი გარემოცვის იმედად არ ჩამოვიდოდა. როგორც ჩანს, მას მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში ვიღაცამ გარანტიები მისცა. საბოლოოდ, უმუხთლა.

***– ნაციონალურ მოძრაობას გაწბილება არ ემჩნევა.***

– გაწბილება კი არა, გამარჯვებაზე ლაპარაკობენ. არადა, რა გამოვიდა? 50-დღიანი შიმშილობის შემდეგ ჰოსპიტალში გადაყვანას მიაღწიეს.

***– ხელისუფლების განმარტებით, ჰოსპიტალიზაცია სხვა მოშიმშილე ადამიანების გამო მოხდა.***

– არაადეკვატური მარტო ნაცმოძრაობა არ არის. „ქართული ოცნებაც“ გამოირჩევა არაადეკვატურობით. უახლოესი წელიწადი-წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში სიტუაცია თვისობრივად შეიცვლება. სააკაშვილის მცდელობები უკავშირდება მის სურვილს, დაიკავოს ადგილი ამ სისტემაში.

***– თქვენი განცხადებით, ეს შეუძლებელია.***

– დიახ. სააკაშვილს არა აქვს ამერიკული პოლიტელიტის მხარდაჭერა. ამერიკელების განცხადებებში სააკაშვილის თემაზე მკაფიოდ არის გამიჯნული ჰუმანიტარული საკითხი და მისი პოლიტიკური გეგმები. ამერიკელი სენატორების განცხადებაში შავით თეთრზე წერია, რომ ისინი სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის მოწინააღმდეგეები იყვნენ. პოლარიზაცია არ გვინდოდაო, იმასაც ამბობენ. ეს დამოკიდებულება ჩანს ახლანდელი და ყოფილი ელჩების – კელი დეგნანისა და იან კელის, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტის გამოხმაურებებშიც. მეტი რაღა უნდა თქვან?! ყველაფერი ნათელია. ამ სიტუაციაში რას იზეიმებენ ნაცმოძრაობის წევრები და როგორ მოიტყუებიან ვაშინგტონის ვითომ მხარდაჭერაზე, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

# „ბრძოლა ვადამდელ არჩევნებამდე გრძელდება“

## მურმან დუმბაძე: „უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ვერ შექმნა სამართლიანი სასამართლო“

ნათია ხურცილავა

**მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო მურმან, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარი ადამიანია და ამიტომ გადაგვყავს სააკაშვილი გორის ჰოსპიტალში. თქვენ მოვლენების ეპიცენტრში იყავით. დღეს რას იტყვით?***

— ამ განცხადებამდე იყო ამაზრზენი განცხადებები. მას ეკუთვნის ფრაზა — სამი ბოთლი ლიმონათი დავლიო და ფაფა დავაყოლო, მეც ცუდად გავხდები. კორექტულობას, ადამიანურობას სცილდება ეს ყველაფერი.

დღეს, ამოცანა სხვა რამეა. სამართლიანი სასამართლო. პატიმრობაში მყოფ ადამიანს უნდა შეეძლოს სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომა. დასავლეთი მიხეილ სააკაშვილს აღიქვამს, როგორც პოლიტიკურ პატიმარს. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც თვლის, რომ სააკაშვილი ციხეში უნდა იყოს და ამით ბედნიერია, ეს რუსეთია, რომელსაც მხარს საქართველოს ხელისუფლება უჭერს. ამიტომ, სააკაშვილს უნდა მიეცეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

***— როგორ? ის სასამართლო გვაქვს, რაც გვაქვს.***

— დიახ, 2012 წლიდან ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, რომ მართლაც შეგვექმნა სამართლიანი სასამართლო. უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ვერ შექმნა სამართლიანი სასამართლო, მაგრამ 10 წლის განმავლობაში ამის გამოსწორების შანსი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილსა და მის მთავრობას, მაგრამ მათ ამაზე შეგნებულად თქვეს უარი. ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას სჯერა, რომ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს. ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ამას ადასტურებს. მე თუ მკითხავთ, სამართლიანი სასამართლო რომ არ გვაქვს, ეს მხოლოდ ხელისუფლებების ბრალი არ არის. საქართველოს მოქალაქემ ვერ შეძლო უზრუნველეყო სამართლიანი სასამართლო.

ჩემი შეთავაზებაა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო იყოს ქართველი მოსამართლეებით დაკომპლექტებული, ხოლო ჩამკეტი მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლო დაკომპლექტდეს უცხოელი, მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეებით. უცხოელი მოსამართლეები დავიქირავოთ და ამისთვის გაიღოს რამდენიმე მილიონი ლარი სახელმწიფომ. ორი ათეული წელი მაინც დაგვჭირდება უცხოელი მოსამართლეები.

***— თქვენ ამბობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო სწორედ რეფორმამდე გადაიდოს?***

— დიახ, თუ ეს ასე არ მოხდება, შეიცვლება ხელისუფლება. ახალი ხელისუფლება დააპატიმრებს ბიძინა ივანიშვილს, მერე მასაც ვახოხიალებთ იატაკზე, მერე ამ კადრებს ვუჩვენებთ ქვეყანას და დანარჩენ მსოფლიოს და ასე დაუსრულებლად გაგრძელდება ამ ქვეყნის იწილო-ბიწილო, რასაც ეს ქვეყანა ვერ გაუძლებს.

სახელმწიფო თუ გვინდა ავაშენოთ, თუ გვინდა წინ წავიდეთ და დავიწყოთ რეფორმები, ვამბობ, უცხოელი მოსამართლეებია ჩამოსაყვანი.

***— ოპოზიციას ამ ეტაპზე თუ აქვს საერთო მონახაზი, როგორ აგრძელებს ბრძოლას? თუ დასრულებულია ბრძოლა?***

— არა, არავითარ შემთხვევაში. ბრძოლა ვადამდელ არჩევნებამდე გრძელდება. ხელისუფლებას ლეგიტიმაცია აკლია. ხელისუფლება, რომელსაც ლეგიტიმაცია აკლია, ქვეყანას ვერ მართავს. ამიტომ, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია. 2016 წლიდან „ქართული ოცნების“ მაქსიმუმი არჩევნებზე 47-48%-ია. ეს ნიშნავს, რომ 53%-ს სხვა იღებს. აქ მოდის სისტემა კონფლიქტში ამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობის ნებასთან. ამიტომ, ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემით გარდაუვალია. „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებს დანიშვნა.

***— შემდეგი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებია?***

— დიახ. თუმცა, მანამდე მიხეილ სააკაშვილს უნდა აღუდგეს მოქალაქეობა და მას უნდა მიეცეს პოლიტიკაში საქმიანობის უფლება.

***— სანამ სასჯელს მოიხდის? სასჯელის გადავადებაზე საუბრობთ ბატონო მურმან?***

— დიახ. არავინ არ აღიარებს მის პატიმრობას. მურუსიძემ უნდა გაასამართლოს მიხეილ სააკაშვილი?! მურუსიძემ მითხრას, როდს მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, როდესაც გირგვლიანის მკვლელ ჯალათებს ასამართლებდა თუ ახლა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი უნდა გაასამართლოს?! ამიტომ ვამბობ, რომ გამოსავალი მხოლოდ უცხოელი, მიუკერძოებელი მოსამართლეები არიან.

ეს იწილო-ბიწილო გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და საქართველოს მოქალაქემ გადაწყვიტოს, სად ურჩევნია მიხეილ სააკაშვილი — ციხეში, ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში.

***— საპროტესტო აქციები გაგრძელდება?***

— რა თქმა უნდა! ჩვენ ამ ხელისუფლებას არ ვცნობთ, რადგან მან არჩევნები მოგვპარა. არჩევნები მოგვიგო ნინოწმინდითა და ხულოს მაღალმთიანი სოფლებით. ასეთი მოგებული არჩევნები გვინახავს შევარდნაძის დროსაც, ასლანის დროსაც და მიშას დროსაც, სხვათა შორის, მაგრამ ეს ხომ ლეგიტიმაციისთვის საკმარისი არ არის. როდესაც სუსტია ლეგიტიმაცია, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალად ინიშნება. ახლაც ასე იქნება.



# „ლელო“ საპარლამენტო ბოიკოტს წყვეტს

ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ საპარლამენტო ბოიკოტს წყვეტს და პლენარულ სხდომების მუშაობაში მონაწილეობას უბრუნდება.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ ფრაქციის წევრმა ანა ნაცვლიშვილმა განმარტა, „ლელოს“ ბოიკოტი მიხეილ სააკაშვილის ადეკვატურ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებამდე ჰქონდა გამოცხადებული და მას შემდეგ, რაც ეს თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჩვეულ საპარლამენტო ცხოვრებას დაბრუნებოდნენ.

— პარტია გააგრძელებს თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელებას, რაც მდგომარეობს ბევრი აქტუალური თემის ირგვლივ მუშაობაში. მათ შორის, პროპორციული არჩევნების მიღწევის საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებების გზით, რაც არასაკმარისი, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საბოლოოდ მივიდეთ სამართლიან არჩევნებამდე, — აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

მისი განცხადებით, პარლამენტისთვის ფუნქციის დაკარგვა ხელისუფლების ინტერესებშია, რაზეც ოპოზიციის წარმომადგენლები მმართველ გუნდს არ უნდა დაყვნენ.

— ყველა რესურსი, მათ შორის საპარლამენტო ტრიბუნა, ბოლომდე არის გამოსაყენებელი. ხელისუფლების ინტერესშია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტმა დაკარგოს თავისი ფუნქცია, ვფიქრობ, ეს კარგად არის ოპოზიციის მხრიდან დასანახი. მგონია, მოცემულ ეტაპზე მათ არ უნდა დავყვეთ და საპარლამენტო პლატფორმა უნდა შევინარჩუნოთ, — აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

მისივე თქმით, ქუჩის პროტესტი პარტიის თვითმიზანი არ არის და ხელისუფლება ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ოპოზიციას საპარლამენტო დღის წესრიგი არ გააჩნია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

— ჩვენი მხრიდან გამოყენებული იქნება ყველა ინსტრუმენტი, იმის მიხედვით, რომელი იქნება ადეკვატური და ეფექტიანი. არის მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, აჩვენონ, თითქოს ოპოზიციას დღის წესრიგი არ აქვს და ერთადერთი მიზანი არის დესტრუქციულობა.

ჩვენს დღის წესრიგს პარლამენტში ხელისუფლება ყოველდღიურად უწყობს საბოტაჟს. „ლელომ“ პარლამენტში რამდენიმე კანონპროექტი დააინიცირა, რომლებიც სისტემურ ცვლილებებს ისახავს მიზნად და რამდენჯერმე გადადო პარლამენტმა, განხილვასაც კი არ იწყებს ამ კანონპროექტებს. ცდილობენ, საზოგადოება შეიყვანონ ილუზიაში, თითქოს დღის წესრიგი არ გვაქვს პარლამენტში, — აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

# „ოცნებას“ საერთოდ არ შეუძლია უცხოეთთან მუშაობა“

## პეტრე მამრაძე: „ამერიკელი თუ ევროპელი დიპლომატები და პოლიტოლოგები რომ ჩამოდიოდნენ, საუბარში მეუბნებოდნენ, ყველაფერი გვესმის, მაგრამ 2-3 პიჯაკის გამო საქმის აღძვრა და იმაზე საუბარი, რომ ეს არის დანაშაული, არ შეიძლებაო“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***— ბატონო პეტრე, სააკაშვილის პატიმრობის ფონზე, მისმა მხარდამჭერმა სამმა პოლიტიკოსმა, მელიამ, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ პრესკონფერენცია გამართეს და თქვეს, რომ ამ დროიდან დასავლური კურსის გადარჩენისთვის იბრძვიან. რა შეიძლება ეწოდოს ამ განცხადებას?***

— ამას ჰქვია დიდი პოლიტიკური თაღლითობა.

***— რატომ?***

— კგბ-ს ეფრეიტორ სააკაშვილის პროდასავლური ორიენტაციის შესახებ ცნობილი დასავლეთელი მოღვაწეები, პოლიტოლოგები წერენ, რომ სააკაშვილი არის პუტინის სასარგებლო იდიოტი, რომელიც პუტინს ყველაფერს უსრულებს, პუტინის პირადი აგენტი ვერ გაართმევდა თავს უკეთესად, ვიდრე ეს სააკაშვილმა გააკეთა.

მაგალითად, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს შესანიშნავი მცოდნე ლინკოლნ მიტჩელი ომის მეოთხე წლისთავზე თავის სტატიაში (რომელმაც 2012 წლის აგვისტოში დაბეჭდა სახელწოდებით: „ვინ ასრულებს მოსკოვის ბრძანებებს თბილისში“) წერს, რომ მოსკოვის ბრძანებებს საქართველოში სააკაშვილი ასრულებს. ეს დასავლეთში შესანიშნავად იციან.

***— სააკაშვილი ვისი პოლიტიკის გამტარებელია? ჩვენ ვიცით იმ დიდი მხარდაჭერის შესახებ, რომელიც სააკაშვილს დასავლეთიდან ჰქონდა და ეს რესურსი როგორ გაფლანგა?***

— გამოკვლეულია და ყველაფერი დადის იქამდე, რომ სააკაშვილმა ჯორჯ ბუშ უმცროსთან პირველივე შეხვედრაზე შეძლო მისი მოხიბვლა და მოტყუება. ჯერ რად ღირს ბუშის გამონათქვამი, პუტინს თვალებში შევხედე და დავინახე სანდო ადამიანი, რომელსაც შეიძლება ენდოო. მერე რუსეთში ანეკდოტი იყო: „ამაზე პუტინმა თქვა, მეც შევხედე ბუშს თვალებში და დავინახე, რომ სრული იდიოტია, ადამიანებში ვერ ერკვევაო“.

სააკაშვილმა მაშინ ბუშს პირველივე შეხვედრაზე უთხრა, რომ ბუშის პროგრამა იყო მისი და მისი გუნდის პროგრამა, სულაც ბუშის იდეებით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ახლა მზად არიან, ეს პროგრამა განავითარონ. მაშინ ბუში მაინცდამაინც პოპულარული არ იყო და ამას ჩაეჭიდა (ეს ერთ-ერთ წიგნშია გამოქვეყნებული). ბუშის დამოკიდებულება გამოჩნდა მის საუბარში მერკელთან 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, როცა შეხვედრისას უთხრა: ოღონდ, სააკაშვილსა და მის ავტორიტარიზმზე არ მელაპარაკოო.

თუმცა, ბუშმაც დაინახა სინამდვილე 2008 წლის აგვისტოში. მანამდე, 2008 წელს აპრილში, ელჩის პირით გადასცა წერილი, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა: თუ შენ მაინც განახორციელებ სამხედრო ოპერაციას აფხაზეთში, ან ე.წ. სამხრეთ ოსეთში, იცოდე, მხარდაჭერა არ გექნება და, საერთოდ, მიგატოვებთო, ანუ ამ დროისათვის ბუშის ადმინისტრაციამ და პირადად ბუშმა დაინახეს, რომ ეს ადამიანი მზად იყო (გამეხებული



იყო) სისხლიანი ავანტიურა განეხორციელებინა, რაც, ცხადია, კრახით დამთავრდებოდა, რადგან, საერთოდ, დასავლეთი და ამერიკაც კი, რუსეთთან ომში არ ჩაებმებოდა. ამაზე ბუშს აფრთხილებდნენ. ბუშის ამ შეცდომაზე არაერთი კვლევაა. დაიწერა, რომ ეს ბუშის ემოციური განწყობით იყო გამოწვეული, რადგან სააკაშვილი ბუშის სარეკლამო ბიჭუნა გახდა.

პოლიტოლოგებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ბუშისთვის საქართველო გახდა მიშა. საქართველოს დავეხმაროთო, ნიშნავდა, მიშას დავეხმაროთ.

***— დღეს რატომ არის სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა, მით უმეტეს, მელია-ხაზარაძე-ჯაფარიძის სახით, პროდასავლური კურსის გადამრჩენი? დასავლური კურსი, რეალურად, გადასარჩენია?***

— ამ ადამიანების მხრიდან დასავლური კურსის გადარჩენაზე საუბარი ნამდვილი პოლიტიკური თაღლითობაა. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არანაირად არ არიან პროდასავლურები თავისი ღირებულებებითა თუ მოქმედებებით. გაიხსენეთ, „გირჩელები“ რომ ავიდნენ ატოცში, ჩაიხადეს და უკანალი მიუშვირეს რუსულ მხარეს.

***— თუ იციან, სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა პროდასავლური ხაზის გამტარებელი არ არის, მაშინ რით იყო გამოწვეული თავის კვლა, გინდა თუ არა, მელია პოლიტპატიმარიაო? რურუაც პოლიტპატიმრად შერაცხეს, მთელი დასავლეთი ფეხზე იდგა და ხელისუფლება აიძულეს, ორივე გაეთავისუფლებინა.***

— ასეთ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები. ძალიან კარგად მახსოვს ამერიკის სენატში გამოსვლები, რომ მელია ნამდვილი დამნაშავეა, ადამიანი, რომელიც მოიძრობს სამაჯურს და მოისვრის, ის უდანაშაულო ნამდვილად არ არის. მახსოვს ეს განცხადებები სხვადასხვა დონეზე. მახსოვს დეგნანის განცხადება, რომ ბატონ მელიას გათავისუფლებისთვის ყველაფერია გაკეთებული, შეუძლია დღესვე გამოვიდეს ციხიდან, თუ არ უნდა და ციხეში ჯდომა ურჩევნია, ეს მისი პირადი საქმეაო.

ამერიკის ელჩის მოადგილეს ველაპარაკე, რურუა, ჩვენი დამფუძნებელი და ერთ-ერთი პოლიტპატიმარია-მეთქი, მან კი მიპასუხა, ეს კაცი პოლიტპატიმარი კი არა, კრიმინალური ბანდის მეთაურიაო.

***— კი, მაგრამ, ზეწოლა დიდი იყო.***

— ზეწოლა დიდი არ იყო. სამწუხაროდ, ეს არის „ოცნების“ მიერ მრავალი წლის განმავლობაში დასავლეთთან ურთიერთობაში განხორციელებული პოლიტიკის შედეგი და სრული უნიათობა (მადლობა ღმერთს, ცოტა გონს მოეგნენ). თუ ვინმეს რაღაც მუშაობის ჩაგდება შეუძლია, ეს „ოცნებამ“ გააკეთა. წლების განმავლობაში (დღეს დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ვარ) დასავლელი — ამერიკელი თუ ევროპელი — დიპლომატები და პოლიტოლოგები (სხვებიც) რომ ჩამოდიოდნენ, საუბარში მეუბნებოდნენ, ყველაფერი გვესმის, მაგრამ 2-3 პიჯაკის გამო საქმის აღძვრა და იმაზე საუბარი, რომ ეს არის დანაშაული, არ შეიძლებაო.

***— 9 მილიონია გაფლანგული, ორი-სამი პიჯაკი როგორ არის?***

— მათ ვპასუხობდი, თქვენ, ეტყობა, არ იცით, რომ ლაპარაკია საქართველოს ისტორიაში არნახულ გაფლანგვაზე. ამ ადამიანმა პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირადად თავისთვის 9 მილიონი დახარჯა, გაფლანგა 9 მილიონ ლარზე მეტი, რაც კანონით იკრძალება. მაშინდელი კურსით 4,5 მილიონი დოლარი იყო, გასახდომად წაიყვანა უგულავა. თვითონ წავიდა უცხოურ სანატორიუმში გასახდომად, რაც ბიუჯეტს 114 ათასი დაუჯდა, ასევე ვაჟიშვილებს ძალიან ძვირ სასწავლებლებში სწავლის საფასური ბიუჯეტიდან გადაუხადა.

თან ვეუბნებოდი, ამას გიყვებით დაბეჭდილი მასალებიდან. დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია თავისი ხელმოწერებით და ბეჭდებით. გაოგნებულები მიყურებდნენ. შეხვედრები ხდებოდა 2013 წლიდან დაწყებული კოვიდის გავრცელებამდე. მეუბნებოდნენ, კი, მაგრამ, რასაც შენ ახლა გვიყვები, ჩვენ რატომ არ ვიცოდითო. ჩემს საუბარში ეჭვი არავის შეუტანია. ვეუბნებოდი, შეიძლება მე რამე გამომრჩა, გაეცანით, პრესაში ყველაფერია, თქვენს საელჩოს შეუძლია მოიძიოსმეთქი.

***— რას გეუბნებოდნენ?***

— მეუბნებოდნენ, ჩვენ რატომ არ ვიცოდითო. მე მსაყვედურობდნენ. ვეუბნებოდი, თქვენ ეს იმიტომ არ იცოდით, „ოცნებას“, საერთოდ, არ შეუძლია უცხოეთთან მუშაობა, ნაცვლად ოფიციალური თარგმანისა (ნოტარიუსის დამოწმებით), შემდეგ ყველა საელჩოსთვის გადაცემისა (მათ შორის, საზღვარგარეთ ჩვენს ყველა საელჩოსთვის გაგზავნისა), ყველა შეხვედრაზე ამის მუსირებისა, ნახეთ, რა დოკუმენტები გვაქვსო.

ნახეთ, დასავლეთში რა ხდება? სარკოზი იმისთვის გაასამართლეს (თუმცა, მისჯილი აქვს, ჯერ შინა პატიმრობაშია და ციხეში გადაყვანა გადადებულია. უბრალოდ, საჩივრის დრო უნდა გავიდეს), არჩევნებისთვის ცოტა მეტი დაუხარჯავს, ვიდრე კანონით ერგებოდა. სარკოზი ფრთიანი ანგელოზია.

მხოლოდ 15 წლის განმავლობაში, ევროპაში ოცამდე პრემიერი, პრეზიდენტი და ვიცე-პრემიერი ციხეში წავიდა.

***— ჩვენ ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ვცხოვრობთ, ძალიან დიდი საფრთხეები გვაქვს. ამაზე მსჯელობის ნაცვლად, დღე ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე საუბარი იწყება და მთავრდება.***

— ესეც „ოცნების“ ბრალია თავიდან ბოლომდე.

# მეგის ქარდავამ საგამოძიებო უწყების კითხვებს პასუხი არ გასცა

პატიმრის წამების ეპიზოდზე მოპოვებულ ვიდეომტკიცებულებებზე მეგის ქარდავამ საგამოძიებო უწყების კითხვებს პასუხი არ გასცა. აღნიშნულის შესახებ რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ განაცხადა.

როგორც კოტრიკაძე განმარტავს, თუკი მეგის ქარდავას რამესთან დაკავშირებით პრეტენზია აქვს, შეუძლია აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსიროს.

ამასთან, პროკურორმა განმარტა, რომ მოპოვებული ვიდეოკადრების ავთენტურობასთან დაკავშირებით მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებებია ჩატარებული.

– არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გასცა, საგამოძიებო ოთახი დატოვა და მისი პოზიცია ადვოკატმა გადმოგვცა. როგორც ჩანს, ამ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით მას საერთოდ არ სურს საუბარი და პოზიციის დაფიქსირება. თუ რამე საკითხთან დაკავშირებით მას პრეტენზია აქვს, შეუძლია გამოხატოს მისი პოზიცია, თუ შინაარსთან დაკავშირებით რამე პოზიცია ჰქონდა, ბუნებრივია, უნდა ეთქვა, – განაცხადა კოტრიკაძემ.

ადვოკატის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ წამების ამსახველი ვიდეოკადრების ამოღება არაკანონიერად მოხდა, პროკურორი აცხადებს, რომ თუკი ადვოკატი რამე ნორმების დარღვევას ხედავს, შეუძლია სასამართლოში იდავოს.

– ქართული მხარის მიერ მოპოვებული მასალები არ არის, უკრაინული მხარის მიერაა გადმოგზავნილი. ადვოკატი თუ რამე ნორმების დარღვევას ხედავს, შეუძლია სასამართლოში იდავოს, მართალი გითხრათ, რა უნდა და რა პრეტენზიები აქვს, ვერ ვიგებ. ავთენტურობასთან დაკავშირებით გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია, კონკრეტულად ექსპერტიზამ რა შედეგები დადო, სასამართლო განხილვებამდე წინასწარ არ მინდა მოვლენებს გავასწრო, საქმე კიდევ გამოძიებაშია, შეიძლება კიდევ გარკვეული მტკიცებულებები დაემატოს და ამან საქმე გააფუჭოს, ჯობს სასამართლო განხილვამდე დავიცადოთ, – განაცხადა კოტრიკაძემ.



ადვოკატის განცხადებას, რომ მისთვის მასალები ამ დრომდე არ გადაუციათ, პროკურორი პასუხობს, რომ „თუ ის მეგის ქარდავას ინტერესების დაცვას სასამართლოში გააგრძელებს, მტკიცებულებები საქმეზე დართვისას მას გადაეცემა“.

მეგის ქარდავა საქართველოში სისხლის სამართლის 11 საქმეზეა ექსტრადირებული, მათგან ნაწილზე ის მსჯავრდებულია, ნაწილზე კი – ბრალდებული. ორი დღის წინ პროკურატურის მიერ გავრცელებული კადრებით ირკვევა, რომ 2011 წლის მაისში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულებაში ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ პირს, მეგის ქარდავამ და ალექსანდრე მუხაძემ მოსთხოვეს არარსებულ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის აღიარება, ასევე ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში თითქოსდა მონაწილე სხვა პირებზე ჩვენების მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ გაუპატიურებით.

ასევე, საქმეში არსებული ჩვენებების თანახმად, აღნიშნულ პირს, ნარკოტიკული ნივთიერება, დაკავების საფუძვლის შესაქმნელად ჩაუდეს. აღნიშნულ ეპიზოდზე მეგის ქარდავას საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზე, ალექსანდრე მუხაძე კი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა.

# თბილისში სალომე მარტიაშვილი ქმარმა მოკლა და გაზით გაგუდვის ინსცენირება მოაწყო

## ანზორ ლურსმანაშვილი დააკავეს

თბილისში, თემქაზე 6 ნოემბერს 27 წლის სალომე მარტიაშვილი გაზით გაიგუდა. ამ საქმის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

„კურიერის“ ცნობით, ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების მიზეზი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ის საკუთარმა მეუღლემ ეჭვიანობის ნიადაგზე ბლაგვი საგნით მოკლა, ადგილზე დანაშაულის კვალი გააქრო და უბედური შემთხვევის ინსცენირება მოაწყო.

ახალგაზრდა ქალის ცხედარი გურამიშვილის გამზირზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში იპოვეს. იქვე, იატაკზე ნახეს მისი მეუღლე, რომელიც გაზით ინტოქსიკაციის ნიშნებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, ცოტა ხანში ბინაზე გაწერეს. „კურიერისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ადგილზე სამაშველო სამსახური ახლობლებმა მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ცოლ-ქმარი მთელი დღის განმავლობაში კონტაქტზე არ გამოვიდა.

პირველ ეტაპზე გამოძიება ქალის გარდაცვალების ვერსიად გაზით ინტოქსიკაციას განიხილავდა, თუმცა შემთხვევის ადგილზე ექსპერტიზამ სისხლის კვალს მიაგნო, აღმოჩნდა, რომ ქალს დაზიანებები თავის არეში ბლაგვი საგნით ჰქონდა მიყენებული. სალომე მარტიაშვილის ოჯახში „კურიერს“ დაუდასტურეს, რომ მომხდარი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს მოკლულის მეუღლე, 25 წლის ანზორ ლურსმანაშვილი, გარდაცვლილი ქალის მამა კი პროკურატურამ დაზარალებულად ცნო.

ანზორ ლურსმანაშვილს მეუღლის განზრახ მკვლელობისთვის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ის გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და დუმილის უფლებას იყენებს.

ანზორ ლურსმანაშვილს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება. მოკლულ ქალს მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

# „მთელი ღამე წყლით სავსე ბოთლს თავში მირტყამდნენ“

## ბექა ლატარია შატალოვას მკვლელობას არ აღიარებს

ანასტასია შატალოვას მკვლელობაში ბრალდებული ბექა ლატარია ამტკიცებს, რომ ის წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია. ლატარიამ წერილი ტვ პირველს გაუგზავნა, სადაც ირწმუნება, რომ ციხეში მას წყლით სავსე ბოთლებით სცემეს და აწამეს.

„მთავარ სამმართველოში წამათრიეს, იქ მიყვანამდე არ ვიცოდი რა ხდებოდა. სკამზე ხელებზე უკანშეკრული დამაბეს და ვიღაც უფროსი შემოვიდა, რომელიც თავიდან ჯიმათი მომმართავდა. მითხრა ასეთი რამ: ჭიამ, ე.წ. კანონიერმა ქურდმა გადაგიხადა შენ 20 ათასი დოლარი, თუ ამ ქალს მოკლავდი და დაგპირდა ქურდად მონათვლას, ამას იტყვიო, რაზეც კატეგორიული უარი ვუთხარი. ამ დროს ბრძანება გასცა, არ დააძინოთ, სანამ არ აღიარებს, ურტყითო.

მთელი ღამე წყლით სავსე ბოთლს თავში მირტყამდნენ. არ ვიცი, როგორ გადავრჩი, მეგონა გავგიჟდებოდი. მაინც გავუძელი, არაფერზე ხელი არ მომიწერია/ მაქვს ნემსები და ლურსმნები გადაყლაპული“ – აღნიშნულია წერილში.

ბექა ლატარია ახალგაზრდა ქალის მკვლელობას არ აღიარეს და პროტესტის ნიშნად 20-მდე ნივთი, მათ შორის, ლურსმნები გადაყლაპა. ლატარიას მდგომარეობა მძიმეა, რადგან მას შინაგანი სისხლდენა აქვს დაწყებული.

ლატარიას მეუღლე დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართავს.

– დანაშაულს არ აღიარებს, შიმშილობას აცხადებს, თვითდაზიანებებს იღებს, უდანაშაულოა ჩემი მეუღლე, მხოლოდ ერთი სამხილი აქვს – გაყალბებული ვიდეო.

მივმართავ დაზარალებულის ოჯახს, გთხოვთ, გაარკვიოთ, ვინ არის ნამდვილი მკვლელი, უდანაშაულო ადამიანს ნუ აწმენდთ ხელს, – ამბობს ბრალდებულის მეუღლე.

# ამერიკული მხარის ორგანიზებით კიბერდანაშაულის გამოძიების საკითხებზე უწყებათშორისი სწავლება დასრულდა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული კიბერდანაშაულის გამოძიების საკითხებზე უწყებათშორის სწავლებაში, რომელიც აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით ჩატარდა. ტრენინგს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ინსტრუქტორები და უცხოელი ექსპერტები უძღვებოდნენ.

სწავლების დახურვის ღონისძიებას დაესწრნენ: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე, აშშ-ის ელჩი საქართველოში – კელი დეგნანი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე – აკაკი საღირაშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე – ალექსი ბატიაშვილი, რომლებმაც მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: მასობრივი განადგურების იარაღი და კიბერსაფრთხეები, ციფრული მტკიცებულებების შენახვა, ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, გამოძიების მეთოდები მობილური მოწყობილობის გამოყენებით და სხვ.

სწავლებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გარდა, მონაწილეობდნენ ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო (DTRA) აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციას, საერთაშორისო თანამშრომლობას, ასევე, რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს.

# შს მინისტრის მოადგილე და აშშ-ის ელჩი კონფერენციის — „ქალები პოლიციაში“ დახურვის ცერემონიას დაესწრნენ



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში – კელი დეგნანი კონფერენციის – „ქალები პოლიციაში“ დახურვის ცერემონიას დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კონფერენციის მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

ალექსანდრე დარახველიძემ კელი დეგნანს მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ხაზი გაუსვა ქალი პოლიციელების როლს გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცებაში ქალ-სამართალდამცველთა ჩართულობის მნიშვნელობაზე.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ქალი პოლიციელების ხსოვნას.

4-დღიანი კონფერენციის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის წარმომადგენლებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ქალი სამართალდამცველების მუშაობის სპეციფიკა და მათი გამოწვევები, ქალი პოლიციელების როლი გენდერული თანასწორობის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციაში, ქალი სამართალდამცველების ჩართულობის მნიშვნელობა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე, ლ.სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები.

ღონისძიება მიზნად ისახავდა სამართალდამცველთა შესაძლებლობების გაძლიერებას და მათი მოტივაციის ამაღლებას.

კონფერენცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა.

# ტვ პირველს სასამართლომ პატრულ გელა კვაშილავასთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა



საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გელა კვაშილავას და ტელეკომპანია „პირველს“ შორის მიმდინარე დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული, პატრულ-ინსპექტორის ღირსებისა და პატივის შემლახველი ინფორმაცია ცილისმწამებლური იყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ ტელეკომპანიას პატრულ-ინსპექტორის მორალური ზიანის ანაზღაურება, ასევე, შაბათის გადაცემის ეთერში დაავალა, გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

„მიმდინარე წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია „პირველმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაური გელა კვაშილავა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადატანაში დაადანაშაულა, ასევე, ამავე ტელეკომპანიამ გამოაქვეყნა მისი სურათი, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ავტორს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა განუმარტა, რომ არასწორ ინფორმაციას ფლობდა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაურმა გელა კვაშილავამ ტელეკომპანია „პირველის“ მიერ მის შესახებ გავრცელებული ცრუ და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი მიმდინარე წლის თებერვალში შეიტანა. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე კვაშილავას ინტერესების დამცველის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები უტყუარად ცნო, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გელა კვაშილავას შემხებლობა არ ჰქონდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, ტელეკომპანია „პირველმა“ კი იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია იყო არასწორი და საზოგადოება შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში“ – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

# ხულოში მანქანა გზიდან გადავარდა

## 1 მოზარდი დაიღუპა

19 ნოემბერს ხულოში გზიდან ავტომანქანა გადავარდა, რომელშიც 4 არასრულწლოვანი იმყოფებოდა.

ავარია სოფელ დეკანაშვილებში მოხდა, მსუბუქი ავტომანქანა ხევში გადავარდა. მანქანაში 15-17 წლის მოზარდები ისხდნენ. ერთი მათგანი ადგილზე დაიღუპა, ერთი ბათუმში გადაიყვანეს, დანარჩენი ორი კი ხულოში მდებარე კლინიკაშია გადაყვანილი.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



# ზუგდიდში 2 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

## 1 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა

20 ნოემბერს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამეგრელოში – ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად 1 პირი გარდაიცვალა, 2 კი დაშავდა.

# ჭუბერში მდინარეში 59 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

1 თვის წინ დაკარგული 59 წლის კაცი გარდაცვლილი იპოვეს. მისი ცხედარი ჭუბერში მდინარემ გამორიყა.

მამაკაცი წალენჯიხის მკვიდრია, რომელიც ჭუბერში სახერხ საამქროში მუშაობდა. „კურიერის“ ინფორმაციით, 24 ოქტომბერს მან თავი შეუძლოდ იგრძნო და სახლში, წალენჯიხაში წასვლა გადაწყვიტა, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა.

ძებნაში, პოლიციის გარდა, სამძებრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებიც იყვნენ ჩართულნი.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით აღიძრა.

# აშშ: რუსეთი უკრაინაზე თავდასხმას აპირებს

## უკრაინის დაზვერვის შეფი კირილ ბუდანოვი აშშ-ში ჩავიდა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) აზრით, მზადდება სამხედრო ოპერაცია უკრაინის წინააღმდეგ.

ვორონეჟთან კონცენტრირებულია რუსეთის არმიის სერიოზული ძალები. აქაა ისკანდერების ტიპის რაკეტები, გაუბიცები, ტანკები.

– პუტინის პროგრამა-მაქსიმუმია უკრაინის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და იქ პრორუსული ხელისუფლების დამყარება; პროგრამა-მინიმუმი კი ტერიტორიის ნაწილის დაპყრობაა. საუბარია მთელ დონბასზე, ზაპოროჟიეზე, ხარკოვზე, ხერსონზე, ნიკოლაევზე, – ვარაუდობენ ამერიკელი მზვერავები.

აშშ-ის გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელი, გენერალი მილი უკრაინული არმიის სარდალს, გენერალ ზალეჟნის დაუკავშირდა. მილმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილია რუსეთის მიმართ რადიკალური სანქციების ამოქმედება.

– ბაიდენის ადმინისტრაციაში განიხილავენ უკრაინაში ამერიკული ჯარის გაგზავნის საკითხსაც. თუმცა ამაში ერთსულოვნება არ არის, – თქვა მილმა.

ზალეჟნიმ ამერიკელ პარტნიორს მადლობა გადაუხადა. თან უთხრა, რომ უკრაინული არმია და მთლიანად უკრაინელი ხალხი მტრის დასახვედრად მზადაა.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი, გენერალი კირილ ბუდანოვი ვაშინგტონში ჩავიდა, სადაც ამერიკელ კოლეგებს შეხვდა. ბუდანოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა გაააქტიურა. მიზანი უკრაინის შიგნიდან აფეთქება და მოსკოვისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო ფონის შექმნაა. როგორც კი კრემლში ჩათვლიან, რომ სიტუაცია მომწიფდა, სამხედრო ინტერვენციაც დაიწყება.



– კრემლში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. იქ თვლიან, რომ უკრაინული პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ძალითაა შესაძლებელი და ამიტომ რუსეთ-უკრაინის საზღვარზე 90.000 რუს ჯარისკაცს მოუყარეს თავი, – ამბობს ბუდანოვი.

– პუტინი დარწმუნებულია, რომ გაყინული და გათოშილი უკრაინელი მოსახლეობა ქუჩებში გამოეფინება და დაიწყება მასობრივი არეულობები. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში რუსული არმია შემოიჭრება, – თვლის ბუდანოვი.

მისი თქმით, თავდასხმა მოიცავს ავიადარტყმებს, საარტილერიო და სატანკო შეტევებს შემდგომი სადესანტო დარტყმებით აღმოსავლეთში, ოდესასა და მარიუპოლზე, ასევე, მცირე შეჭრას ბელარუსის გავლით.

კრემლი გეგმავს თავდასხმას, რომელიც უნდა გახდეს მეტად მასშტაბური, ვიდრე რუსეთის ნებისმიერი მოქმედება იყო 2014 წელს.

დაზვერვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კიევი იხილავს სხვადასხვა სცენარებს, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს რუსეთის თავდასხმა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა გარშემორტყმულია რუსეთის მრავალრიცხოვანი დაჯგუფებებით.

ბუდანოვის თქმით, რუსეთი ზრდის ჯარის და შეიარაღების რაოდენობას ოკუპირებულ ყირიმში და საზღვარზე მცირე მანძილის „ისკანდერების" და სხვა შეიარაღების მობილიზებას ახდენს. მანვე აღნიშნა, რომ ნებისმიერი მსგავსი თავდასხმა მოჰყვება მხოლოდ სერიულ ფსიქოლოგიურ ოპერაციებს, რომელთაც მოსკოვი უკვე ახორციელებს და რომლის მიზანია უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაცია.

პარასკევს, უკრაინის თავდაცვის ახალმა მინისტრმა ალექსეი რეზნიკოვმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით, ზუსტად არ არის ცნობილი, მიიღო თუ არა რუსეთის პრეზიდენტმა საბოლოო გადაწყვეტილება თავდასხმის შესახებ.

რუსული აგრესიის შემთხვევაში ვაშინგტონი მოსკოვის წინააღმდეგ ახალ დრაკონულ სანქციებს აამოქმედებს. ეს შეეხება როგორც ნავთობის ემბარგოს, ასევე სვიფტერის გათიშვას და დასავლურ ბანკებში რუსი ოლიგარქების მილიარდების დაბლოკვას.



## იერუსალიმში 1 ადამიანი მოკლეს და 4 დაჭრეს

იერუსალიმში სროლის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაშავდა.

პოლიციის ცნობით, შემთხვევის ადგილზე პოლიციელებმა ცეცხლი გაუხსნეს თავდამსხმელს, 40 წელს გადაცილებულ მამაკაცს, რომელიც გარდაიცვალა.

ოფიციალური ინფორმაციით, თავდამსხმელი ჰამასთან იყო კავშირში და, როგორც ჩანს, ტერაქტი წინასწარ იყო დაგეგმილი.

## ატლანტას აეროპორტში სროლის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა

სულ მცირე, სამი ადამიანი დაიჭრა აშშ-ის, ატლანტას შტატის აეროპორტში მომხდარი სროლის შედეგად. ამის შესახებ ამერიკის ტრანსპორტის უსაფრთხოების სამმართველოს პრესსამსახური იუწყება.

ჰართსფილდ ჯექსონის აეროპორტში, საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, ერთ-ერთ მგზავრს, ბარგის სკანირების დროს, ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. შემოწმებისას მამაკაცმა ჩანთიდან იარაღი ამოიღო და სროლა დაიწყო, რის შემდეგაც ტერმინალის გასასვლელის მიმართულებით გაიქცა და მიიმალა.

ინციდენტის შედეგად სამმა ადამიანმა ტრავმა მიიღო. თუმცა, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ატლანტის აეროპორტის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, 2021 წლის განმავლობაში, 450 ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# მაგარი თამაში ფიჯისთან – საქართველო კუნძულელებს დაუზავდა

<u>საქართველო-ფიჯი 15:15</u>

**არანხუესი. ესტადიო ელ დელეიტე**

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2021 წლის დასკვნითი მატჩი ფიჯისთან დაძაბულ და დამღლელ ბრძოლაში, ფრედ 15:15 დაასრულა. ეს იყო ამ გუნდების მე-6 შეხვედრა და პირველი ფრე, სულ კი, საქართველომ 245 მატჩში ფრედ მე-8 ითამაშა.

ესპანეთში, არანხუესში გამართული თამაში მნიშვნელოვანი იყო ორივე გუნდისთვის, რადგან ისინი ტიერ 2-ის ქვეყნებიდან ყველაზე ახლოს არიან ტიერ 1-ის გუნდებთან და მსოფლიოში ყველაზე მზარდ სარაგბო ნაციებად ითვლებიან. გარდა ამისა, 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, „ბორჯღალოსნებს" კუნძულელებთან საკუთარი ანგარიშები აქვთ და დიდი ალბათობით, ისინი 2023 წლის საფრანგეთის მსოფლიო თასზეც ერთ ჯგუფში იქნებიან.

სასიამოვნოა, რომ „ესტადიო ელ დელეიტეს" ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ ქართველი ქომაგები და „ბორჯღალოსნებს" მძიმე წუთებში ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ.

საქართველომ ფიჯის ძალიან ძლიერ გუნდს ის ერთადერთი ტაქტიკა დაუპირისპირა, რითაც მათი შეჩერება შესაძლებელი იქნებოდა. დაცვაში აგრესიული, მაქსიმალურად დისციპლინირებული თამაშით, მეტოქის არაერთი სახიფათო შეტევის შეჩერება მოხერხდა. „ბორჯღალოსნების" შერკინებამ ისეთი შეხვედრა ჩაატარა, როგორისაც მისგან ნაჩვევი ვართ და ფიჯელები არაერთხელ დააჯარიმა. კარგად იმუშავა დაცვის მოლმა და მეტოქეს რამდენჯერმე აგრძნობინა, რომ ეს იარაღი საქართველოს წინააღმდეგ მარტივად არ იმოქმედებდა.

„ბორჯღალოსნები" ცდილობდნენ, რომ შეტევაში ხელით მეტი ეთამაშათ და როგორც კი რამდენიმე ფაზის გადაბმა ხერხდებოდა, მეტოქე ჯარიმდებოდა, თედო აბჟანდაძე კი, ზუსტი დარტყმებით საქართველოს უპირატესობას უნარჩუნებდა. თითქოს გამარჯვებაც ახლოს იყო, მაგრამ დაღლილობამ დასკვნით წუთებში ძალზე იჩინა თავი.

ფიჯელთა ტრადიციული საბრძოლო ცეკვის, ზიმბის შესრულების შემდეგ, საქართველომ თამაში კარგად დაიწყო და მეტოქეს პირველსავე წუთებზე აჩვენა, რომ დაცვაში უკან დამხევი არ იყო. თავდადებული დაცვით მეტოქეს ბურთი დავათმობინეთ, მერე თავად გადავედით შეტევაზე და აბჟანდაძის მოკლე გადაკიდებული ბექა საღინაძეს რომ აელო, სიტუაციის გასამწვავებლად საკმარისი სივრცე ჰქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სამაგიეროდ, ჯარიმის უპირატესობა დაგვიბრუნდა და აბჟანდაძემ დაახლოებით 35 მეტრიდან, არცთუ იოლი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მეტოქე კვლავ ჯიუტად ცდილობდა ჩვენს 22-ში დერეფნიდან მოლით, ან ბურთის ხაზზე გატანით შეტევას, მაგრამ თავი ყველა ჯერზე კარგად დავიცავით. მე-19 წუთზე კუნძულელები შერკინებაში უკვე მათსავე ნახევარზე დავაჯარიმეთ და აბჟანდაძემ ისეც გაიტანა. ამას ფიჯელთა გააფთრებული, 3-წუთიანი შტურმი მოყვა და საქართველო წითელ ზონაში კვლავ არ გატყდა.



თამაში ჩვენთვის სასურველი სცენარით მიდიოდა და 27-ე წუთზე მეტოქეს ჩვენს 22-თან რომ დავაშვებინეთ შეცდომა, ლელოს გატანის შანსი გაჩნდა. ვასილ ლობჟანიძემ ბურთს ფეხი წაკრა და მიჰყვა, მაგრამ ლელოდან 6-7 მეტრში შეაჩერეს. თითქოს დახმარებამაც არ დააგვიანა, მაგრამ ქართველთა სიჩქარეში ფიჯელებმა გადაცემა ჩაჭრეს, ბურთი ხელდახელ წამოიღეს და ამინიასი ტუიმამბამ ლელოთი დაასრულა, ხოლო ბენ ვოლავოლას გარდასახვა ძელმა აისხლიტა.

ამის შემდეგ თამაში ჩვეულ რითმს დაუბრუნდა, აგრესიულმა დაცვამ ფიჯის დაჯარიმება უკვე მისსავე ნახევარზე აიძულა და აბჟანდაძემ გასატანი ჯარიმა 3 ქულად აქცია. გაწითლებულ დროზე თედოს 40 მეტრიდან შეეძლო უპირატესობის გაზრდა, მაგრამ ამჯერად მიზანმა უმტყუნა და კარგი ტაიმი საქართველოს გამარჯვებით დასრულდა – 9:5.

მე-2 ნახევარი პირველზე უფრო რთული გამოდგა. გარდა იმისა, რომ ფიჯიმ მონდომება გააათმაგა, მოედანიც დამძიმდა. სადებიუტო შეტევებმა, რომელიც თითქმის 10 წუთი გაგრძელდა, დიდი ენერგია წაიღო. ვასილ ლობჟანიძემ და გიორგი ცუცქირიძემ ერთ ეპიზოდში 100%-იანი ლელოსგან გვიხსნეს. მერე აბჟანდაძემ კარის წინ შეასრულა კარგი ბოჭვა და რადგან ლელოს გატანა ვერ მოახერხეს, ვოლავოლამ ჯარიმით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა.

ტაიმის შუაში მეტოქის ნახევარზე 2-ჯერ შევძელით გადასვლა და 2-ჯერ ჯარიმის შესრულების უფლება მივიღეთ. აბჟანდაძემ 2-ვე გაიტანა და პირველად შეხვედრაში უპირატესობა 7-ქულიანი გახდა. ჯარიმებს შორის იყო ერთი სახიფათო შეტევა და ამჯერად ლელოსგან დავით ნინიაშვილისა და ლობჟანიძის ბოჭვებმა გვიხსნა.

და მაინც, 68-ე წუთზე ფიჯიმ ჯარიმა კარში არ დაარტყა, დერეფნიდან ჯერ ცენტრისკენ შეგვიტია, მერე მოკლე ფრთაზე დააბრუნა ბურთი და ვილიამე მატას ლელო ვოლავოლამ გარდასახა.

დასკვნით 10 წუთში შეცდომები მომრავლდა, თამაში ჩვენს 22-ში მიდიოდა და როდესაც განკუთვნილი დრო ამოიწურა, აბჟანდაძემ ბურთი ფეხით კიდით ხაზს იქით მოიგერია – 15:15 მძიმე და მომქანცველი მატჩის შემდეგ.

**ლევან მაისაშვილი:**

– მატჩამდე ღრმა ანალიზი გვქონდა, რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა და მთლიანობაში ეს მოვახერხეთ. შეხვედრის დებიუტშივე შევძელით თამაშის მართვა, რისი პრობლემაც ძლიერ გუნდებთან სულ გვაქვს ხოლმე. ფიჯიმ შეცდომები დაუშვა და მათი რეალიზება შევძელით. საწყენია, რომ იქით გასატანი ლელო აქეთ მივიღეთ. ამ ეპიზოდში ემოციამ გვძლია, თორემ დარწმუნებული ვარ, შემდეგ ფაზაში ლელოს ჩვენ დავდებდით. სამწუხარო იყო ტაიმის ბოლოს აცილებული ჯარიმა. როგორც აღმოჩნდა, ის გადამწყვეტი იქნებოდა. მთლიანობაში, ტაიმმა ჩვენი კარნახით ჩაიარა, ვიყავით ხისტები დაცვაში და კარგად ვმოქმედებდით ფეხით თამაშისას...

მეორე ტაიმში ფიჯიმ თავს საკუთარი თამაში მოგვახვია და ასეთ დროს ამ გუნდის შეჩერება ძალიან რთულია. მნიშვნელოვანი იყო, რომ შევძელით მათი მოლების გაჩერება და შერკინებაში რამდენჯერმე დავაჯარიმეთ. საწყენია, რომ გამარჯვება ვერ მოვახერხეთ, რისი შანსიც გვქონდა, მაგრამ წაგებამდეც ერთი ნაბიჯი იყო. მთლიანობაში, ჩვენი გეგმის ნაწილობრივ განხორციელება შევძელით და თამაშსაც დადებითად ვაფასებ...

მიმაჩნია, რომ ამ თამაშით და ზოგადად ამ ტურნეთი, ერთი საფეხურით ზევით ავედით. ბიჭებმა საკუთარი ძალების ირწმუნეს და დაინახეს, რომ ამ მრისხანე მეტოქის დამარცხება შეუძლიათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კარგად გვახსოვს, რა შედეგით დასრულდა ფიჯისთან მატჩი 2019 წლის მსოფლიო თასზე. მას შემდეგ, შარშანდელ შეხვედრაში გვქონდა პროგრესი, ახლა კი შარშანდელთან შედარებით იყო პროგრესი. ეს იმის ნიშანია, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ნოემბრის ორი თამაში საქართველოსთვის ძალიან დიდი აქტივია.

# საკალათბურთო ლეგიონი ფორმაში შედის

ნბა-ში გოგა ბითაძეს სათამაშო დრო მიეცა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გაცილებით მეტს იმსახურებს, ვიდრე მისი საშუალო სათამაშო დროა – 7.5 წუთი. ნბა-ს რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში ინდიანამ შარლოტ ჰორნეტსს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 118:121 წააგო.



ინდიანას სასტარტო ხუთეულმა ვერ გაამართლა: დომანტას საბონისს 8 ქულა ჰქონდა, მაილს ტერნერს – 6. ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და არასრულ 22 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოინაგრა. ჩვენებურმა 4-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 8-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ბითაძის მოედანზე ყოფნის პერიოდში ინდიანელებმა მეტოქეს 14 ქულით აჯობეს.

ინდიანას 6 მოგების წილ 11 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზეა.

თორნიკე შენგელიას ცსკა ევროლიგის მე-11 ტურში ესპანეთს ესტუმრა და ქართველი ფორვარდის ყოფილი გუნდი 6 ქულით – 80:74 დაამარცხა. ცსკა მეოთხე მეოთხედის წინ 13-ქულიანი უპირატესობით იგებდა და შეხვედრა გამარჯვებამდე მარტივად მიიყვანა.

შენგელია 2014-20 წლებში ბასკონიაში თამაშობდა და მისი ლიდერი იყო. ვიტორიულ გუნდში კარიერა თორნიკემ ესპანეთის ჩემპიონობით დაასრულა, რის შემდეგაც მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა. შენგელია ძალიან უყვართ ბასკონიელ ქომაგებს და გულთბილი დახვედრაც მოუწყვეს და პატივისცემის ნიშნად სიმბოლურად ბასკონიის მაისური გადასცეს.

ქართველმა კალათბურთელმა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პარკეტზე 29:49 წუთი გაატარა, რა დროშიც მან 15 ქულას, 4 მოხსნასა და 3 პასს მოუყარა თავი. თორნიკემ 9-დან 4 ორქულიანი და 5-დან 2 სამქულიანი ჩააგდო.

11 ტურის შემდეგ ცსკა 12 ქულით მე-9 ადგილზეა, მოსკოვური კლუბი მომდევნო ტურში ბაიერნს უმასპინძლებს.

2020-21 წლების სეზონის ესპანეთის საუკეთესო კალათბურთელმა გიორგი შერმადინმა ახალ სეზონში პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა გრან კანარიასთან 25 ქულა, 10 მოხსნა, თითო პასი და დაფარება მიითვალა. ქართველი ცენტრის ეფექტური თამაშის წყალობით კი, ტენერიფემ გრან კანარია 98:89 დაამარცხა.

შერმადინმა 7-დან 7 ორქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 41-ს მიაღწია. ესპანურ კარიერაში მისი ყველაზე მაღალი მქკ 42 იყო (2020 წელს). სხვათა შორის, მაშინაც გრან კანარიასთან მატჩში.

აღსანიშნავია ისიც, რომ შერმადინის უშუალო კონკურენტი ამ მატჩში გახლდათ იგორ პუსტოვოი. გრან კანარიას ცენტრი უკრაინის ნაკრების ხუთეულის წევრია და 26 ნოემბერს საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ თბილისში ჩამოვა. პუსტოვოიმ 22 წუთი ითამაშა და 8 ქულა, 7 მოხსნა მოაგროვა.

ტენერიფეს 8 მოგება, 3 წაგება აქვს და ესპანეთის ჩემპიონატში მე-3 პოზიციაზეა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ფერმიდან გაქცეული ხარი ატრაქციონზე გაერთო და დაკვლას გადაურჩა

ბრაზილიაში ფერმიდან გაქცეულმა ხარმა თავი აკვაპარკში ამოყო, გაერთო ატრაქციონებზე და მეხორცის დანას თავი დააღწია.



ნოვა-გრანდას მუნიციპალიტეტში ფერმის მფლობელმა კარლოს მიგელ სერანტემ განაცხადა, რომ ის თავისი ორი წლის ხარის დასაკლავად წაყვანას აპირებდა, მაგრამ ცხოველი მას გაექცა. განთავისუფლებულმა ცხოველმა გადაწყვიტა წყალვარდნილებზე ესრიალა. ცხოველის გართობის თაობაზე სერანტეს ერთ-ერთმა ადგილობრივმა ბავშვმა აცნობა და ფერმერი მაშინვე აკვაპარკისკენ გაემართა ხარის წამოსაყვანად.

ადგილზე გაირკვა, რომ აუზიდან ხარის ამოყვანას ოთხი ადამიანის ძალისხმევა დასჭირდა. თავდაპირველად ფერმერმა ვერ დაიჯერა, რომ ცხოველი ატრაქციონზე წყალზე სრიალით ერთობოდა და ამის დასამტკიცებლად მას ვიდეოჩანაწერი აჩვენეს. სერანტემ ხარი ფერმაში დააბრუნა, თუმცა მისი დაკვლა გადაიფიქრა და მას ტობოგა დაარქვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბათუმის დინამოს ჩემპიონობამდე ქულა აშორებს

**დინამო (ბთ)-თელავი 2:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0, 2:0 გაფრინდაშვილი (73, 89)

**დინამო:** კუპატაძე, ჩაბრაძე (ვ.გაფრინდაშვილი 57), მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ალთუნაშვილი (ნიქაბაძე 90), ტეიდი, მამუჩაშვილი, ჯოვინო, ჯილაური (ნავალოვსკი 90), ფანცულაია (ზარია 57)

**თელავი:** სანიკიძე, ძოწენიძე, თოლორდავა (შეყილაძე 80), თევზაძე, ც.კაპანაძე, ბაშელეიშვილი (ჯიქია 88), ჯანელიძე (აშორტია 84), შერგელაშვილი, მარაქველიძე (ჩოგაძე 84), რუხაძე, ჟუნიორი (არდაზიშვილი 88)

ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდებმა – ბათუმისა და თბილისის დინამოებმა საკუთარი მატჩები მოიგეს. შესაბამისად, ცხრილის ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა ისევ 5 ქულა რჩება. გია გეგუჩაძის გუნდს ჩემპიონობის გასაფორმებლად დარჩენილ 2 ტურში ქულაც ჰყოფნის.

ბათუმელებმა თელავს თორნიკე გაფრინდაშვილის დუბლით აჯობეს. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა ჯერ ჯაბა ჯილაურთან გაითამაშა ბურთი და გაიტანა, შემდეგ კი, საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მეკარისგან შორეულ კუთხეში იდეალურად დაარტყა – 2:0.



**დინამო (თბ)-შუქურა 2:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 გაბედავა (15), 2:0 მარუშიჩი (31)

75-ე წუთზე ჯერალდუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** პრიეტო, ბენიო, პაპავა, კალანდაძე, მექვაბიშვილი, ხარაბაძე (მორჩილაძე 83), სპორქსლედე, მოისწრაფიშვილი (ქარდავა 66), ოსეი (კუცია 83), გაბედავა (რადინი 88), მარუშიჩი

**შუქურა:** თებიძე, ხმალაძე, სპიჩკა, ჭანტურია, ფარტენაძე, ექვთიმიშვილი (ვარშანიძე 46), ჯინჭარაძე (კაკაშვილი 46), აფხაზავა (გ.გაფრინდაშვილი 72), ძალამიძე (ჯერალდუ 57), კვარაცხელია (მუსელიანი 46), ინგოროყვა

დინამოელებმა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს სათამაშო უპირატესობა და ანგარიშიც მალევე გახსნეს. თავისი მორიგი გოლი ტრავმამოშუშებულმა გიორგი გაბედავამ გაიტანა. თბილისელებმა მეტოქეზე ზეწოლა უფრო გაზარდეს და ნახევარი საათის თავზე უკვე 2-ბურთიანი ჰანდიკაპით დაწინაურდნენ, ხოლო ზორან მარუშიჩი ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო წინ გაიჭრა – 2:0.

მე-2 ტაიმში ბარნს ოსეიმ ანგარიშის გაზრდის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. მატჩის 75-ე წუთზე კი, ქობულეთელებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს, პენალტი ჯერალდუმ დაარტყა, მაგრამ ანდრეს პრიეტომ მოიგერია და ანგარიში უცვლელი დარჩა.

**საბურთალო-დილა 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

საბურთალო ევროტურნირებზე მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებდა და ამის პირველი შესაძლებლობა უშუალო კონკურენტთან ჰქონდა. თუმცა, ეს დავალება ვერ შეასრულეს და ახლა სხვა გზით უნდა ეცადნონ ევროსაგზურის აღებას.

მასპინძლებს ბოლო 4 შეხვედრაში გამარჯვება არ ჰქონდათ, დილას კი, ამდენივე მატჩში საკუთარ კარში გოლიც კი არ გაუშვია. გორელებმა ამჯერადაც მშრალად შეინახეს კარი და ევროსაგზურიც დაიბევეს.

**სამგურალი-ლოკომოტივი 0:0**

**წყალტუბო. 26 მაისი**

ულიმლამო მატჩი სუზტად ისე დასრულდა, როგორც ამას ანგარიშიდან ხედავთ. სათქმელია ისიც, რომ სეზონის წინ დასახული ამოცანა ჯერ არც ერთ გუნდს არ შეუსრულებია და ამის გაკეთებას დასკვნით 2 ტურში ეცდებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 34 | 20 | 11 | 3 | 68-25 | 71 |
| 2.დინამო (თბ) | 34 | 20 | 6 | 8 | 56-26 | 66 |
| 3.დილა | 34 | 17 | 9 | 8 | 45-30 | 60 |
| 4.ლოკომოტივი | 34 | 15 | 7 | 12 | 54-55 | 52 |
| 5.საბურთალო | 34 | 13 | 12 | 9 | 45-38 | 51 |
| 6.სამგურალი | 34 | 9 | 14 | 11 | 33-39 | 41 |
| 7.თელავი | 34 | 10 | 8 | 16 | 30-51 | 38 |
| 8.ტორპედო | 33 | 7 | 12 | 14 | 29-41 | 33 |
| 9.შუქურა | 34 | 5 | 12 | 17 | 26-45 | 27 |
| 10.სამტრედია | 33 | 5 | 5 | 23 | 31-67 | 20 |

# შედეგები

## 20 ნოემბერი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ჩელსი ............ 0:3
ასტონ ვილა-ბრაიტონი ............ 2:0
ბარნლი-კრ.პალასი ............ 3:3
ვულვზი-ვესტ ჰემი ............ 1:0
ნორვიჩი-საუთჰემპტონი ............ 2:1
ნიუკასლი-ბრენტფორდი ............ 3:3
უოტფორდი-მანჩესტერი ............ 4:1
ლივერპული-არსენალი ............ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-4 | 29 |
| 2.ლივერპული | 12 | 7 | 4 | 1 | 35-11 | 25 |
| 3.სიტი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-6 | 23 |
| 4.ვესტ ჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 23-14 | 23 |
| 5.არსენალი | 12 | 6 | 2 | 4 | 13-17 | 20 |
| 6.ვულვზი | 12 | 6 | 1 | 5 | 12-12 | 19 |
| 7.მანჩესტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 8.ბრაიტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 12-14 | 17 |
| 9.კრ.პალასი | 12 | 3 | 7 | 2 | 18-17 | 16 |
| 10.ტოტენჰემი | 11 | 5 | 1 | 5 | 9-16 | 16 |
| 11.ევერტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-16 | 15 |
| 12.ლესტერი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-21 | 15 |
| 13.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 11-14 | 14 |
| 14.ბრენტფორდი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-17 | 13 |
| 15.უოტფორდი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 16.ასტონ ვილა | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 17.ლიდსი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-18 | 11 |
| 18.ბარნლი | 12 | 1 | 6 | 5 | 14-20 | 9 |
| 19.ნორვიჩი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-27 | 8 |
| 20.ნიუკასლი | 12 | 0 | 6 | 6 | 15-27 | 6 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

შეფილდი-ქოვენთრი ............ 0:0
ბრისტოლი-ბლექბერნი ............ 1:1
მიდლსბრო-მილუოლი ............ 1:1
პრესტონი-კარდიფი ............ 1:2
რედინგი-ნოტიმგემი ............ 1:1
სტოკი-პიტერბრო ............ 2:0
სუონსი-ბლექპული ............ 1:1
ფულემი-ბარნსლი ............ 4:1
ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი ............ 1:0
ჰალი-ბირმინგემი ............ 2:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

არმინია-ვოლფსბურგი ............ 2:2
ლევერკუზენი-ბოხუმი ............ 1:0
დორტმუნდი-შტუტგარტი ............ 2:1
გლადბახი-ფიურტი ............ 4:0
ჰოფენჰაიმი-ლაიფციგი ............ 2:0
უნიონი-ჰერტა ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 9 | 1 | 2 | 41-13 | 28 |
| 2.დორტმუნდი | 12 | 9 | 0 | 3 | 30-18 | 27 |
| 3.ფრაიბურგი | 11 | 6 | 4 | 1 | 18-9 | 22 |
| 4.ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 25-17 | 21 |
| 5.უნიონი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-17 | 20 |
| 6.ვოლფსბურგი | 12 | 6 | 2 | 4 | 14-14 | 20 |
| 7.ლაიფციგი | 12 | 5 | 3 | 4 | 23-13 | 18 |
| 8.გლადბახი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 2 | 5 | 21-17 | 17 |
| 10.მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| 11.კიოლნი | 11 | 3 | 5 | 3 | 17-20 | 14 |
| 12.ბოხუმი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-19 | 13 |
| 13.ჰერტა | 12 | 4 | 1 | 7 | 12-26 | 13 |
| 14.აინტრახტი | 11 | 2 | 6 | 3 | 12-16 | 12 |
| 15.აუგსბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-21 | 12 |
| 16.შტუტგარტი | 12 | 2 | 4 | 6 | 16-22 | 10 |
| 17.არმინია | 12 | 1 | 6 | 5 | 9-18 | 9 |
| 18.ფიურტი | 12 | 0 | 1 | 11 | 8-33 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-რეგენსბურგი ............ 4:1
ჰანზა-აუე ............ 1:2
დარმშტადი-ზ.პაული ............ 4:0
ვერდერი-შალკე ............ 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ვილიარეალი ............ 1:1
სევილია-ალავესი ............ 2:2
ატლეტიკო-ოსასუნა ............ 1:0
ბარსელონა-ესპანიოლი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სევილია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 2.სოსიედადი | 13 | 8 | 4 | 1 | 19-10 | 28 |
| 3.რეალი | 12 | 8 | 3 | 1 | 28-13 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 5 | 1 | 22-13 | 26 |
| 5.ბეტისი | 13 | 6 | 3 | 4 | 19-17 | 21 |
| 6.ბარსელონა | 13 | 5 | 5 | 3 | 20-15 | 20 |
| 7.რაიო | 13 | 6 | 2 | 5 | 19-14 | 20 |
| 8.ბილბაო | 13 | 4 | 7 | 2 | 11-8 | 19 |
| 9.ოსასუნა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-18 | 19 |
| 10.ვალენსია | 13 | 4 | 5 | 4 | 21-20 | 17 |
| 11.ესპანიოლი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-14 | 17 |
| 12.ვილიარეალი | 13 | 3 | 7 | 3 | 15-13 | 16 |
| 13.მალიორკა | 13 | 3 | 6 | 4 | 13-19 | 15 |
| 14.ალავესი | 13 | 4 | 2 | 7 | 10-17 | 14 |
| 15.სელტა | 14 | 3 | 4 | 7 | 14-18 | 13 |
| 16.კადისი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-19 | 12 |
| 17.გრანადა | 12 | 2 | 5 | 5 | 11-16 | 11 |
| 18.ელჩე | 13 | 2 | 5 | 6 | 11-17 | 11 |
| 19.ლევანტე | 14 | 0 | 7 | 7 | 12-25 | 7 |
| 20.ხეტაფე | 13 | 1 | 3 | 9 | 6-19 | 6 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ოვიედო-ამორებიეტა ............ 2:0
მალაგა-ლას პალმასი ............ 2:1
ალმერია-ვალიადოლიდი ............ 3:1

### იტალია. სერია ა

ატალანტა-სპეცია ............ 5:2
ლაციო-იუვენტუსი ............ 0:2
ფიორენტინა-მილანი ............ 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 12 | 10 | 2 | 0 | 24-4 | 32 |
| 2.მილანი | 13 | 10 | 2 | 1 | 29-15 | 32 |
| 3.ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 29-13 | 25 |
| 4.ატალანტა | 13 | 7 | 4 | 2 | 27-17 | 25 |
| 5.იუვენტუსი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-15 | 21 |
| 6.ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 25-21 | 21 |
| 7.ფიორენტინა | 13 | 7 | 0 | 6 | 20-17 | 21 |
| 8.რომა | 12 | 6 | 1 | 5 | 21-15 | 19 |
| 9.ბოლონია | 12 | 5 | 3 | 4 | 19-23 | 18 |
| 10.ვერონა | 12 | 4 | 4 | 4 | 25-21 | 16 |
| 11.ემპოლი | 12 | 5 | 1 | 6 | 18-23 | 16 |
| 12.ტორინო | 12 | 4 | 2 | 6 | 15-12 | 14 |
| 13.უდინეზე | 12 | 3 | 5 | 4 | 15-18 | 14 |
| 14.სასუოლო | 12 | 3 | 4 | 5 | 17-18 | 13 |
| 15.ვენეცია | 12 | 3 | 3 | 6 | 11-19 | 12 |
| 16.სპეცია | 13 | 3 | 2 | 8 | 15-31 | 11 |
| 17.ჯენოა | 12 | 1 | 6 | 5 | 17-24 | 9 |
| 18.სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 15-25 | 9 |
| 19.სალერნიტანა | 12 | 2 | 1 | 9 | 10-26 | 7 |
| 20.კალიარი | 12 | 1 | 3 | 8 | 13-26 | 6 |

### იტალია. სერია ბ

პორდენონე-ასკოლი ............ 0:1
სპალი-ალესანდრია ............ 2:3
ტერნანა-ჩიტადელა ............ 1:1
ფროზინონე-ლეჩე ............ 0:0
პერუჯა-კროტონე ............ 2:0
ვიჩენცა-ბრეშა ............ 2:3

### საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ნანტი ............ 3:1
რენი-მონპელიე ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 12 | 1 | 1 | 32-14 | 37 |
| 2.რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-12 | 25 |
| 3.ლანსი | 13 | 7 | 3 | 3 | 25-14 | 24 |
| 4.ნიცა | 13 | 7 | 3 | 3 | 23-10 | 23 |
| 5.მარსელი | 13 | 6 | 5 | 2 | 20-12 | 23 |
| 6.მონაკო | 14 | 5 | 4 | 5 | 19-18 | 19 |
| 7.ლიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 21-21 | 19 |
| 8.მონპელიე | 14 | 5 | 4 | 5 | 21-21 | 19 |
| 9.სტრასბური | 13 | 5 | 3 | 5 | 24-18 | 18 |
| 10.ანჟე | 13 | 4 | 6 | 3 | 19-16 | 18 |
| 11.ნანტი | 14 | 5 | 3 | 6 | 19-19 | 18 |
| 12.ლილი | 14 | 4 | 5 | 5 | 18-21 | 17 |
| 13.ლორიანი | 13 | 3 | 6 | 4 | 13-20 | 15 |
| 14.ტრუა | 13 | 3 | 4 | 6 | 13-21 | 13 |
| 15.კლერმონი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-26 | 13 |
| 16.რეიმსი | 13 | 2 | 6 | 5 | 14-17 | 12 |
| 17.ბრესტი | 13 | 2 | 6 | 5 | 16-21 | 12 |
| 18.ბორდო | 13 | 2 | 6 | 5 | 18-27 | 12 |
| 19.სტ.ეტიენი | 13 | 1 | 6 | 6 | 15-28 | 9 |
| 20.მეცი | 13 | 1 | 5 | 7 | 13-27 | 8 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ტულუზა-სოშო ............ 4:1
ვალანსიენი-გრენობლი ............ 1:0
ლე ავრი-ამიენი ............ 1:1
დიუნკერკი-აიაჩო ............ 0:1
კაენი-პარიზი ............ 0:1
ნანსი-როდეზი ............ 0:2
ნიმი-კევიი ............ 2:1
პო-გენგამი ............ 2:0
ბასტია-ნიორი ............ 2:0

### ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი

პსვ-ვიტესი ............ 2:0
სპარტა-ტვენტე ............ 0:1
ალკმაარი-ნამეგენი ............ 1:1
ერაკლესი-სიტარდი ............ 3:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

კრილია-ურალი ............ 1:1
ლოკომოტივი-ახმატი ............ 1:2
კრასნოდარი-სპარტაკი ............ 2:1

### ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-შარლერუა ............ 1:2
ლეუვენი-სერენი ............ 1:3

**სერენის პირველი გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

ვარეგემი-გენტი ............ 1:2
სტანდარდი-ეუპენი ............ 1:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ალტახი ............ 1:0
ზალცბურგი-ადმირა ............ 0:0
რიდი-ჰარტბერგი ............ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-აბერდინი ............ 1:0
მოზერველი-ჰართსი ............ 2:0
სტ.მირენი-ლივინგსტონი ............ 1:1

### შოტლანდია. თასი

სელტიკი-სტ.ჯონსონი ............ 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ჰატაი-ანთალია ............ 3:1
გირესუნი-მალათია ............ 1:0
ბაშაქშეჰირი-სივასი ............ 2:1
ალანია-ბეშიქთაში ............ 2:0

### (continued)

ვოლოსი-ოფი ............ 0:2
არისი-იანინა ............ 0:5
იონიკოსი-ასტერასი ............ 1:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-ციურიხი ............ 0:1

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ჩესკე ............ 3:1
ბოლესლავი-ზლინი ............ 1:0
სიგმა-ჰრადეც კრალოვე ............ 2:2
ბანიკი-პლზენი ............ 2:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვარტა-პლოცკი ............ 1:2
იაგელონია-ვისლა ............ 3:1
სტალი-ლეხია ............ 3:3
ლეხი-პიასტი ............ 1:0

### უნგრეთი. 1 დივიზიონი

პაკში-პუშ.აკადემია ............ 4:1
დიორმოტი-კიშვარდა ............ 1:1
უიპეშტი-დებრეცენი ............ 3:1

**უიპეშტის პირველი გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა**

### უკრაინა. პრემიერლიგა

ლვოვი-ზორია ............ 2:1
შახტარი-რუხი ............ 2:0
დნიპრო-ოლექსანდრია ............ 3:1

### შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ჰაკენი ............ 2:2

### ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-ჰაუგესუნდი ............ 1:1
სტრომგოდსეტი-მიონდალენი ............ 1:2

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თოჯინა „ბარბის" მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. ქართველი შტანგისტი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 4. პოპულარული პარკი თბილისში; 8. თამარ მეფის დედის სახელი; 9. ხილის წვენებისგან მომზადებული ტკბილეული; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. იაპონური ხის ქოშები; 14. ჯიხვების ჯოგი; 16. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 17. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 19. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 21. კურორტი, ნავსადგური ხორვატიაში.

**თარაზულად:** 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „მედეას" ავტორი; 7. ფრანგული ვაშლის არაყი; 10. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 13. პათოსით წარმოთქმული სიტყვა, ფრაზა; 15. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 18. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. ხუჭუჭბეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტოშიბა; 2. სინაი; 3. სვინგი; 4. კამორა; 6. გურიელი; 9. არაყი; 11. ტერტერა; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარა; 17. ხიზილალა; 19. იომიური; 21. თემშარა; 22. შუამთა.

**თარაზულად:** 5. ხოზაფინი; 7. ურთხელი; 8. ამქარი; 10. კრედიტი; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. მაყაშვილი; 18. ფეტვი; 20. ჯალიტა; 23. დუკერი; 24. მასა; 25. პირელი; 26. თული; 27. პროჟექტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რუტერი; 2. იმერეთი; 3. ვატიკანი; 4. შიფონერი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ფსირცხა; 12. ყავა; 14. ალოე; 16. ზაქათალა; 17. ტაკელაჟი; 19. ფოლადი; 21. რომბი.

**თარაზულად:** 5. ლანგუსტი; 6. გერმანია; 7. ფარვატერი; 10. სამაია; 13. ბაიერი; 15. ღვარძლი; 18. კათოდი; 20. მაკაკა; 22. კალმასობა; 23. ალავერდი; 24. აბორდაჟი.


## სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა თანაუგრძნობს მადონა და გია ნატრიაშვილებს დედის

**ელეონორა უროტაძე-ნატრიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1120

ევრო — 3.5169

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1769

100 რუსული რუბლი — 4.2404

## ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისათვის




## სულშერი მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სულშერი გუნდს უახლოეს დღეებში დატოვებს. ეს გადაწყვეტილება იუნაიტედის ხელმძღვანელობამ უოტფორდთან მარცხის შემდეგ მიიღო. ამჟამად ისინი ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებენ და ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა არსებობს.

ყველაზე მეტად მანჩესტერში ზიდანის ხილვა სურთ, მაგრამ მას ჯერ თანხმობა არ განუცხადებია.

## ხავი: „თამაშის დროს ხარვეზები იყო“



ბარსელონამ ხავისთან ერთად გამარჯვებით დაიწყო და მან საკუთარ მოედანზე ესპანიოლი დაამარცხა ანგარიშით 1:0.

ხავიმ შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა კარგი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ის ბოლომდე კმაყოფილი არ არის:

– მეორე ტაიმში მეტოქეს ბევრი მომენტის შექმნის საშუალება მივეცით და ამაზე აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ, რადგან მომავალში შესაძლოა აღარ გაგვიმართლოს. ჩვენ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც მუდმივად პროგრესს განიცდიან.

## ჯეიმი კარაგერმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდი შეაქო



ლივერპულის ლეგენდამ და საფეხბურთო ექსპერტმა ჯეიმი კარაგერმა განაცხადა, რომ ლივერპულის შეტევაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ტრენტ ალექსანდრ არნოლდი თამაშობს, რომელიც ძალიან კარგად ამწვავებს თამაშს.

კარაგერის აზრით, ტრენტის გარეშე ლივერპულის შეტევებს სიმწვავე აკლია:

– როდესაც არნოლდი მოედანზე არ არის, ეს მაშინვე ჩანს. არნოლდი შესანიშნავ ფორმაშია. მას ისე ხშირად არ ახსენებენ, როგორც ის იმსახურებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

სააავადმყოფოს პალატაში მწოლიარე ავადმყოფს ტელეფონის ზარი აღვიძებს:

– დილა მშვიდობისა, მე თქვენი მკურნალი ექიმი ვარ. თქვენი ანალიზების პასუხები მოვიდა და უნდა გითხრათ, რომ თქვენ აღმოგაჩნდათ: გონორეა, ქუნთრუშა, წითელა, ღორის გრიპი, ყვავილი, შავი ჭირი, ვირუსული ჰეპატიტი...

– ექიმო, მიმკურნალეთ, გააკეთეთ რამე!

– არ ინერვიულოთ, ვიმოქმედებთ გეგმის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, გინიშნავთ ბლინების დიეტას. საუზმე ბლინები, სადილი – ბლინები, ვახშმად – ბლინები.

– მერე, ეგ მიშველის?

– არ ვიცი, მაგრამ კარის ქვეშიდან სხვა არაფერი ეტევა

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– შეგიძლია, ორსიტყვიანი ანეკდოტი მითხრა?

– ხელფასი მყოფნის.

●●●

ცოლი სახლში გვიან დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– ასე გვიანობამდე სად დაეთრეოდი?

– ვაქცინას ვიკეთებდი.

– და არაყის სუნი რატომ აგდის?

– ეგ გვერდითი ეფექტია.

●●●

ბებია შვილიშვილს ეკითხება:

– ეგ რა არის, შვილო?

– ეს, ბებო, ჯოხია, ამით სელფს ვიღებ.

– ფუი, რა სამარცხვინოა! გათხოვება გჭირდება, შვილო, გათხოვება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თათია კობალაძემ ყაზახური „ვოისის“ რინგი მოიგო



მომღერალმა თათია კობალაძემ, რომელიც ყაზახურ „ვოისში“ მონაწილეობს, ბრმა მოსმენებიდან დაწყებული ყველა ტური წარმატებით გაიარა და ფინალს დამაჯერებლად უახლოვდება.

რინგის ტურში მან უიტნი ჰიუსტონის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა და მწვრთნელების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

თათია მომდევნო ტურში გადავიდა და სულ მალე ყაზახური „ვოისის“ ცოცხალი კონცერტების მონაწილე გახდება.

## ლევან კოღუაშვილი ლოს ანჯელესში დააჯილდოვეს



ქართველი რეჟისორი ლევან კოღუაშვილი ლოს ანჯელესში აზიური ფილმების ფესტივალზე დააჯილდოვეს. ჯილდო რეჟისორმა თავის ერთ-ერთი ბოლო ფილმისთვის „მეოთხე ბრაიტონი“ დაიმსახურა.

ლევან კოღუაშვილის ფილმი აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალზე საუკეთესო ფილმის ნომინაციაში საუკეთესოდ დასახელდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ საერთაშორისო კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებულია. რეჟისორმა თავისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევრით მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ კინოფესტივალებზე სხვადასხვა ნომინაციების ჯილდოები მოიპოვა.

## „სუხიშვილების“ კონცერტებმა დუბაიში ანშლაგებით ჩაიარა



ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ დუბაიში კონცერტები ჩაატარა და როგორც მოსალოდნელი იყო, სრული ანშლაგებით.

მოცეკვავეებმა დამსწრე საზოგადოებას ძველი და ახალი პროგრამა წარუდგინეს. მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ცეკვამ „ცდო“, რომელიც უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა დადგა. მუხლებსა და ცერებზე შესრულებული ურთულესი ცეკვა მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით დააჯილდოვა.

## დემნა გვასალია: „ჩემთვის ბალენსიაგა ღირსებას წარმოადგენს“



დიზაინერი დემნა გვასალია აცხადებს, რომ ბალენსიაგა მისთვის ღირსებას წარმოადგენს.

ამ და სხვა საინტერესო თემებზე მსოფლიო მოდის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა დიზაინერმა უცხოელ ჟურნალისტთან ინტერვიუში ისაუბრა.

***– მეგობრებში ყველაზე მეტად რას აფასებ?***

– ერთგულებას.

***– როგორია შენი გონების ამჟამინდელი მდგომარეობა?***

– თავისუფალი.

***– როგორ წარმოგიდგენია ბედნიერება?***

– შაბათი საღამო, პიცა და ნეტფლიქსის თრეში სერიალების ყურება ლოიკთან ერთად.

***– რა არის შენი მომდევნო გამოწვევა?***

– მინდა ჩემს აუდიტორიასთან თანამედროვე ტიპის დიალოგი დავამყარო. სად არის ბიზნესის და ამბიციების ზღვარი? ჩემთვის ბალენსიაგა ღირსებას წარმოადგენს. ჩემი უდიდესი გამოწვევაა, რომ ბრენდის ყველა მომდევნო თავი ღირსეულად განვავითარო.

***– როდესაც ბალენსიაგას დათანხმდი, რას გრძნობდი? ადვილი გადაწყვეტილება იყო? ელოდი, რომ ასეთ წარმატებას მოგიტანდა?***

– გაკვირვებული ვიყავი, რომ მე ამირჩიეს, მაგრამ ბრენდის ისტორიასთან კავშირს ვგრძნობდი. ეს ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გადაწყვეტილება იყო, რომელიც მიმიღია, რადგან ვიცოდი, რომ შევძლებდი მოდაში ჩემი ხედვა განმევითარებინა. წარმატების მოლოდინი არ მქონდა, უბრალოდ, მინდოდა შემექმნა ტანსაცმელი, რომელიც ხალხს სხეულის დაფარვაზე მეტს შესთავაზებდა. თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი შესაძლებლობა, შემექმნა უნიკალური მიდგომა.

***– რით განსხვავდება ტანსაცმელი მოდისგან?***

– მოდა არ მაღელვებს, მაგრამ ტანსაცმელი ძალიან მიყვარს, როგორ შეუძლია შეგვცვალოს, მოგვანიჭოს თავდაჯერებულობა. ტანსაცმელს ჩვენს ფსიქოლოგიაზე და ყოფაზე აქვს გავლენა, მოდას ეს არ შეუძლია. მოდა ტრენდები და კუთვნილების გამოხატულებაა, „ეს მაქვს, ის მაქვს“. მე მაინტერესებს ტანსაცმელი, რომელიც განწყობას გვიცვლის. ლოკდაუნის პირველი კვირები დივანზე პიჟამოებში გავატარე, არ მადარდებდა, როგორ გამოვიყურებოდი, რადგან ლოიკთან ერთად სახლში მარტო ვიყავი. დეპრესია დამეწყო, ვფიქრობდი, ღმერთო, რა აზრი აქვს? ვიღვიძებ, ვსაუზმობ და ვრჩები ისევ სახლში. მალე მივხვდი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა და გამოწყობა დავიწყე, მიუხედავად იმისა, ლოკდაუნია თუ არა, მთელი კვირის ტანსაცმელი შევარჩიე და დილით, როდესაც ვიღვიძებდი, მაინც ვემზადებოდი. პირადი მოდის კვირეული მქონდა. ამ საშინელ დროს ტანსაცმელმა ჩემს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედა, დამეხმარა, რომ კეთილგონიერება არ დამეკარგა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მეტისმეტად გაუმაძღარი კლიენტი რესტორნიდან გამოაგდეს

ჩინეთის ხუნანის პროვინციის ჩანშას ოლქში შვედური მაგიდის რესტორნიდან მეტისმეტად გაუმაძღარი კლიენტი მას შემდეგ გამოაგდეს, როდესაც კილოგრამნახევარი ღორის ფეხი, 3,6 კილოგრამი კრევეტი და სხვა დელიკატესები შეჭამა.

დაწესებულების მფლობელებმა შავ სიაში შეიყვანეს კარგი მადის მქონე ფუდ-ბლოგერი, რომელიც კანის სახელითაა ცნობილი და იმით გაიცნო საზოგადოებამ, რომ არაერთხელ შეუჭამია უამრავი რაოდენობის კერძი. ზღვისპროდუქტების და ბარბექიუს რესტორანში პირველ შესვლაზე მამაკაცმა კილოგრამნახევარი ღორის ფეხი შეჭამა. შემდგომი ვიზიტის დროს 3,6 კილოგრამი კრევეტი გადასანსლა.



ბლოგერი თვლის, რომ რესტორანი არაკორექტულად მოიქცა, როდესაც მას იქ შესვლა იმის გამო აუკრძალა, რომ უბრალოდ ჭამდა ყველაფერს, რაც შეეძლო რესტორანში, რომელიც კლიენტებს სთავაზობს „შეჭამე, რამდენიც შეგიძლია“, მიირთმევდა.

– ბევრის ჭამა შემიძლია, ეს რა ჩემი დანაშაულია, – კითხულობს ფუდ-ბლოგერი.

რესტორნის მფლობელმა განაცხადა, რომ მიუხედავად აქციის სახელწოდებისა, კანის კვებისგან მიღებული ფინანსური დანაკარგები, მას არარენტაბელურს ხდის.

– ყოველ ჯერზე, როდესაც ის აქ მოდის, რამდენიმე ასეულ იუანს ვკარგავ, მაშინაც კი, როდესაც ის სოიოს რძეს სვამს, ის 20-30 ბოთლს სვამს. როდესაც ღორის ფეხებს შეექცევა, მთელ საინს ასუფთავებს. რაც შეეხება კრევეტებს, ჩვეულებრივი ადამიანები მათ ასაღებად სპეციალურ მაშებს იყენებენ, ის კი მთლიან საინს იღებს, – განაცხადა რესტორანის მფლობელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 22 ნოემბრისათვის

**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ვერაგობა, გამცემლობა; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. ფულის გამოძალვა; 6. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. დიდი ტანის ტიბეტური ძაღლი; 15. აჭარული ცეკვა; 16. ვაშლის ქართული ჯიში; 17. წითელი ფერის, ნახევრად მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ზამბარიანი ხელის სასწორი; 22. იმრე კალმანის ოპერეტა.

**თარაზულად:** 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 7. მთიანეთი აშშ-ში; 8. თვალის კაკლის გარეთა, თეთრი გარსი; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. სტანდარტული ფორმის კითხვარი, ცოდნის შესამოწმებლად; 13. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე აჭარაში; 20. სამურაების მეთაური; 23. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 24. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. დესერტი, ტკბილეული; 25. ჩინელ იმპერატორთა დინასტია; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

